


ეროვნული  
ბიბლიოთეკა



# შინაარსი



უურნალ „ჯეჯილისა“

I	გავსწიოთ საომრათ! სურათი . . . . .	258
II	სოფლათ. ლექსი შაბუჩაძის . . . . .	259
III	თითების განგაში. ზღაპარი . . . . .	261
IV	შირაქში, ივ. გამანდლის (დასასრული) . . . . .	263
V	ლილა, ლექსი — საყუყუ აბუჯაძის . . . . .	272
VI	პურის ნატენი. თარგმანი ან. ახალშენიშვილის . . . . .	273
VII	როგორ ირჩენენ ცხოველები თავს. (თარგმანი) კუდრაძის . . . . .	280
VIII	წერილმანი: აკროსტინი, შარადა, სახუმარო კითხვები და გამოცანები და ახსნა. . . . .	285
<hr/>		
IX	ჩანჩქერი, ლექსი ვ. რუსაძის . . . . .	287
X	სიმონიკას წერილი გიოსა . . . . .	288
XI	ნიშა ყვავი (სეტონ ტომონისა) დასასრული შემდეგ. თარგმანი თამარა ნაგველიშვილისა. . . . .	297
XII	მეგობრები—იპონიის მწერლის კენძირო ტოკუტომისა. თარგმანი ირ. ფურაძის . . . . .	301
XIII	ოსმალეთი. ოსმალის დროს გატარება. ად. ფ.—სი . . . . .	307
XIV	ამბავი ზესკნელისა (წერილი მეოთხე). მზე და მისი საბრძანებელი ილია ალსაზაშვილისა . . . . .	311
XV	ნიკო ლომოურის ხსოვნას. ნინო ენუქიძის . . . . .	317

რედაქცია უმორჩილესათა სთხოვს ხელის მომწერლებს ვინც სვედრი ფული არა აქვთ შემოტანილი---დააჩქაროთ გამოგზავნა.


317

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საქმასწავლებლო ნახატებიანი  
ქუჩნალი.

იხარბდე, მწგანუ, გეჯილო,  
დაპურბდი, გაზბდი ყანბლო.  
ი. დ.



მაისი, 1915 წ.

დონხოცა რაიონი

◆ წეღიწადი მეოცდაექვსე



თ ბ ი ლ ი ს ი  
ელექტრომბეჭდავი „წრომა“, მუზრანის ქ. № 12.

1915



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



გავეჩოთ სამშაბათ!

ს ო ფ ლ ა თ



იმ რა დილა  
გაფურჩქენილა  
მოკისკასე, მშვენიერი  
მზის ევაგილებს  
ცეცხლათ შლილებს  
მოუქარგავს ცის ეთერი.

მთის ლურჯ კალთებს  
სსივი ანთებს,  
ნათლით მოსავს ზურმუხტ არეს,  
ფრთხ დაჭრილი  
ღამის ჩრდილი  
კლდის ორწონში თრთის, კანკალებს.

ბგერ კორდზე ლტოლვის ქინით  
მოქრის, მოსტის ნაკადული,  
ლოცვის ჭანგათ ცასა სწვდება  
ფრინველთ ტკბილი ჟრიაბული.

ფოთოლი თრთის, მდელი დეღავს,  
ევაგილებში სცურავს სიო  
და იმდერის: „მსურს ქვეყანას  
შეების ცრემლი დავაფრქვიო“.



და იმ სმებით,  
 ნახი ვნებით  
 ია ბუჩქს ქვეშ იცრემლებს...  
 ვიშ, ამ დილის  
 ტურფად ძლილის  
 დამატკობი სურნელება.

მიმქრალი.



ამ სველივს იხედიდნენ  
 მამდნენ შინეს, შიბდნი იმ  
 აიცილებდნენ ილსებე შინეს

# თითების განგაში

ზღაპარი.



იყო და არ აყო რა, იყო სუთი  
თითი. აი ის თითები ჩვენ რომ  
გვაქვს ხელზე: ცერი, სალოკი,  
შუბ თითი, არა-თითი და სულ ჰა  
ტარა—ნეკი.

ერთხელ თითებს ძალიან მოშვი-  
დათ. ცერმა სთქვა:

— მოდი, მძებო, შევჭამოთ რაღე.

— რა უნდა ვჭამოთ, რომ არაფერი გვაქვს? ჭკო-  
თხა სალოკმა.

— მოდი ერთი დედას სკიჯრში ჩავძვრეთ და იქ  
ტებილეულობით გამოვძვეთ, წამოიძასა არა თითმა.

— გაძლომათ კი გავძლებით, მაგრამ ეს ჰაწაწი-  
ნა ნეკი დედას ენას მიუტანს.

— მამ ღმერთმა აღარ გამსარდოს, თუ მე დე-  
დას რაღე უთხრა, დაიფიცა ნეკმა.

გატყვეს თითებმა სკიჯრი, ჩაძვრენ შიგ და კარ-  
კა გამოძლენ.

დედა რომ შინ დაბრუნდა ეველა თითებს მაგრამ





# უი რ ა ქ უ ი

(დასასრული)

VIII




ოდესაც მისომ ჰეტრეს წერილი გადასცა, მაშინათვე ქუჩაში გამოვიდა. აქ მას გუურქა უცდიდა და ორივემ სწრაფის ნაბიჯით აბანოებისაკენ გამოსწიეს, ამოვიდენ ხარფუსში, გაიარეს რამდენიმე ქუჩა, მიუახლოვდენ თავის სახლს და აქეთ იქით დაიწეეს უსრება, თვალს ხომ არაზინ კვაღვენებსო. როდესაც დარწმუნდენ რომ არაზინ არ იყო, შეაღეს კარი და შევიდენ ოთახში.

— სად არიან ბავშვები? გაისმა მიხოს სმა.

— ესოში არიან, შვილო, ესოში, ისე მსიარულათ არიან შენმა ძეგმ, რომ ციამება, წამოიძახა ნახელიმ, რომელიც ლოკინზე იყო წამოწოლილი და სწრაფათ ზეზე წამოიჭრა მისოს ხმის გაცონებაზე. მისომ ესოში გაიხედა და როდესაც მსიარული ბავშვები დაინახა თითონაც იამა.

— გუურქ, ჩვენ არხეინათ ვაუოთ, ამათ აქ არაფერიც არ მოუვათ, ესენი არაფერს დარდობენ, სუ-





თხს თუმანს კაპიკი არ მოვაკლოთ. აქ ამათ ვერ-  
ვინ ვერ მოაგებს.

— ვა, ამ სააღდგომოთ სწორეთ ღმერთმა გა-  
მოგვიკახუნა ეს ლუკმა აი! დიმილით წაჩმოსთქვა  
გეურქამ.

— ნახელი, არ მოაძიო, იცოდე.

— როგორ მოძივდებათ, შვილო, მთელი დღე  
სულა სჭამენ.

— ხვალ კიდევ მოგიტან ხორცს.

მისოს და გეურქას დანახვაზე ქეთო ცოტა შე-  
კრთა; აჩიკოს კი არაფრათ არ ჩაუგდია.

— შე ძამა თქვენი უნახე, ძამ! დაიწყო მისომ.

— დედა არ გინახავს? მიამახა ქეთომ.

— დედაცა უნახე, ასე შემოგითვალეს თქვენ  
ჭკვიანათ იუავით, ნუ მოიწუნებ და ამ ორსამ დღეში  
წაგიუვანთო.

— ნახელი, მიძართა მისომ დედინაცვალს, ამა-  
ლამ კარგი ვახშამი სჭამეთ, ხვალ დილით შე კიდევ  
მოგიტანთ ვეულაფერს.

— ამაღამაც არ მოხვალთ, შვილო?

— არა!

გეურქამა და მისომ ცოტა ხანს კიდევ ილანა-  
რაკეს დაბალის სმით, შემდეგ კარი გაიკეტეს და წა-  
ვიდნენ.

— იცი, ქეთო, ამაღამ ეგენი სასლში არ მოუ-  
ლენ. თუ ამაღამ არ გავიძარეთ, მერე იქნება ვეღარ  
გავიძაროთ.

— აჩიკო, მაგას დედა და ძამა უნახავს, ხვალ

იქნება აქ მოვიდენ და რაღათ გავიპაროთ? მე ღაბუ  
მეძინია.

— რისი გეძინია, ქუჩაში სულ განათებულია  
ღამე.

— ჩვალ თუ დედა მოკა?

— არაფინაც არ მოკა, ეკ ჩვენ გვატყუებს. ისიც  
კი გვითხრა მე ძამასი ნათლული ვარო, ძირაქში წა-  
გიკვანთო, მაგრამ სომ მოკვატეუა. ეკ ცრუშენ ტელაა,  
არაფერი არ უნდა დაუჯეროთ.

ქეთოს სმა არ ამოუღია.

მზე უკვე ჩასულიყო. საკმაოდ მოღამდა. ნახელი  
ლოგინზე წამოწოლილიყო, თვალებზე თავშალი ჩა-  
მოეფარებინა და გემრიელათ ფშვინავდა.

— წამოდი, ქეთო, გავიდეთ, ჩუმათ უთხრა აჩი-  
კომ დას, მოჭკიდა ხელი და ფეს ავრეფით გარეთ გა-  
ვიდენ.

აჩიკომ სწრაფათ ჩამოსხნა საქანელა და თოკი  
წელზე მეძოიხვია. თუძვა ის ცხრა წლისა იყო, მა-  
გრამ მოხერხებითა და ეოჩაღობით თორმეტ-ცამეტ  
წლისას არ ჩამოუვარდებოდა.

— აბა, ქეთო, ჯერ შენ ადი ხეზე, მერე მე ავალ.

ქეთო ეცადა, მაგრამ ფეხები უცურდებოდა.

— ფეხსაცმელები გავისადოთ, ფეხსაცმელები! და-  
იძანა აჩიკომ და ჯერ ოთახში შეიბინა, ნახელის  
სომ არა ღვიძავსო, მაგრამ ნახელი ფეხსაც არ  
ანძრევდა.

ბავშვებმა ფეხსაცმელები გაიხადეს, უბეძი და ჯი-  
ბეებში ჩაიწვეს და მარდათ აცოცდენ ხეზე, გაუვენ  
სხვილ ტოტს და ხელათ გადასტენ ბანზე.



აჩიკომ მოიხსნა თოკი, ერთი თავი ბუხრის საკვამლე მიღს მოაბა და მეორე ძირს გადაუშვა ქუჩისაკენ.

— აბა, ქეთო, ჯერ შენ ჩადი და მეორე მე ჩამოვალ.

ქეთო ნელა ნელა ჩაეშვა თოკზე, ცოტა ხელები კი ეტკინა, მაგრამ გული ისე უბაგუნებდა თან შიშითა და თან სიხარულით, რომ ველარაფერის ველარამჩნევდა.

ქეთო ჩახტა თუ არა ძირს, აჩიკო ძალე ჩამოჭევა უკან, მოჭკიდეს ერთმანეთს ხელი და ისე დაეშვენ სირბილით, თითქოს გაჭენებული ცხენით მოსდევდათ ვინმე. დიდხანს ირბინეს ასე სანამ ქეთომ ქვას ფეხი არ წამოჭკერა და ორივე ძირს არ გაიშლართა. მუსლები და ხელები ორივეს ძალიან ეტკინა, მაგრამ სმა არ ამოუღიათ. სწრაფათ, წამოსტეგნენ შესე და, მსოლოთ ახლა შეამჩნიეს რომ ფეხსაცმლები არ ეცვათ, მაგრამ მათი ჩაცმის თავი ვიღას ჭქონდა, ჩაჭკიდეს ერთმანეთს ხელი და გასწიეს სულ ჭენებით.

როდესაც დიდ ქუჩაზედ გამოვიდნენ, დაღლილობისაგან ორივეს ხვითქი გადადიოდა შუბლზე.

— უჭ, აჩიკო, დავიღალე, მატარე შევისვენოთ, წარმოსთქვა ქეთომ.

— რა დროს დასვენებაა, ქეთო, ერთიც ვნახოთ დაგვეწიონ!

— აბა, ნელა წავიდეთ.

— ფაიტონი იქნება სადმე, ჩავჯდეთ და ჩქარა მიგვიყვანს.

ჩვენი მკვარვრები ნელა-ნელა გაუდგენ გზას და თან ოფელს იწმენდავდენ.

— სადა ვართ, აჩიკო, იცი?

— არ ვიცი, შენ იცი, ქეთო?

— არც მე ვიცი, აქეთ არასოდეს არა ვყოფილვარ.

ქუჩებში სალხი ძალიან ცოტა იყო და ბავშვებს არაფინ არ აქცევდა უურბადლებას. ჩამოიარეს თავდაღმართი და ჩამოვიდენ მოზრდილ ქუჩაზე, საცა სინათლეც მეტი იყო და სალხიც.

— იცი, ქეთო, ფესსაცმელები ჩავიცვავთ, თორემ სირცხვილია, მიძარტა აჩიკომ.

— რომ დაგვეწიონ?

— ისინი ძარტო დილას მოვლენ სახლში და კიდევ რომ დაგვეწიონ ახლა ნუღარ გეშინია, აქ ბევრი სალხია და ვიუვიროთ.

ჩამოსდენ ქუჩის ზირას, ამოიღეს ფესსაცმელები უბე-ჯიბიდან და ჩაიცვეს.

არ გაუვლიათ რამოდენიმე ნაბიჯი, რომ ცარიელი ეტლი გამოჩნდა.

— ფაიტონ, ფაიტონ! შეენა აჩიკომ ძახილი.

მეეტლე შეჩერდა.

— აბა, ქეთო, ჩავსდეთ, — ვერაზე წაგვიყვანე, ვარდისუბნის ქუჩაზე, მიამახა მეეტლეს აჩიკომ, როდესაც შიგ ჩავჯდენ.

მეეტლემ რაღაც ეჭვის თვალთ გადახედა ჩვენს

მსაჯრებს და კარეკა ცხენები. აჩიკო და ქეთო ერთ-  
 მანეთს შეხერებოდენ და სიცილს ვერ იკავებდენ.

— ესლას სასლქა როგორ შევიდეთ, აჩიკო?

— იცი, ზარს ნუ დაურეკავთ, ეზოდან შევიდეთ.  
 მე მრცხვენია დედასი და ძამასი.

— ჩვენი ბრალა ხომ არ იყო! ჩვენ ჰატარები  
 ვართ და რა ვიცოდით თუ ასე მოგვივიდოდა?

— იცი, აჩიკო, ბალკონსე ნელანელა შევიზა-  
 როთ, ერთბაშათ შევაღოთ კარები, მე დედას მოვეს-  
 ვევი, შენ კიდევ ძამას და კვანძარეთყო ვოსოვოთ.

ეს აზრი აჩიკოსაც მოეწონა და გადასწვიტეს,  
 რომ ასე მოქცეოდენ.

## IX

— არა, რა ფულის ჰატრონი შენ მოგნახეს!  
 ლანძარაკობდა ალექსანდრე, ჯიბეებში სელი ჩაეწყო  
 და ოთახში აქეთ-იქით დადიოდა.

ელენეს მკვდრის ფერი ედვა. უძილობა და უჭ-  
 მკლობამ მთლათ ვამოსწოვა ძალღონე.

ვასტანგი ჩაფიქრებული იჯდა. ღამის ათი საათი  
 იქნებოდა.

— არაფერი არ მესმის, არაფერი. დღე როგორ  
 შემობედავდენ მენტან ბავშების მოსატაცებლათ? ეს  
 დაუჯერებელი ამბავია! ამტკიცებდა ალექსანდრე.

— აქ არავინ არ მოვიდოდა მოსატაცებლათ,  
 წარმოსთქვა ელენემ, — ამ დალოცვილმა ბავშებს  
 ცივი უარი უთხრა: ბატკნები უნდა დაკვლათო, მე  
 სასლქი არ ვიყავი, ამას ეძინა, ბავშები გაიპარენ  
 და გზაში მოიტაცეს ალბათ.

— რატომ შენ მაინც არ მოსხარი ერთი სიტყვა, ნუ დაჰკლავთ ბატონებსო? მიუგო ვასტანკმა.

— შენი ხასიათის ამბავი არ ვიცი, რასაც იტყვი ვეღარ გადაგათქმევინებს ადამიანი და აღარაფერი გითხარი.

— ასეა, ურეძი რომ გადაბრუნდება, კ'სა მაშინ გამოჩნდებაო, ნათქვამია. მიუგო ვასტანკმა.

— ასეა თუ ისე ამ ლაპარაკით აღარა გამოვარა. ორასი თუმანი ვიშოვნეთ, როგორც იქნა. სვალ ვექსელებით უნდა გამოიტანო ბანკიდან სამცხი და სეკ ბავშვები უნდაგამოვიხსნათ. წარმოსთქვა ელენემ.

— ამდენ ფულს გასტუმრება არ უნდა.

— ჩადი სოფელში, რაც რამე გაქვს გაჭედიე და გაისტუმრე.

— იქ კიდევ იმ აზრისა ვარ, რომ ზოლიცის დავაჭერინოთ ის ხალხი, დაიწყო ალექსანდრემ.

— აჰ, აჰ, ეგ შეუძლებელია, გაიგებენ და ბავშვები დაძვლუჭება, გაასავსავა ელენემ სელები—ჩემის ხელით გამოვსწრი ველს, ჩემის ხელით, თუ ამ საქმისი ზოლიცია გაურიეთ.

ოთახში სიჩქემე ჩამოვარდა.

ვეველა ფიქრში იყო კართული.

ესოს კიბიდან ხელახლა ამოიპარენ აჩიკო და ქეთო, ამოვიდნენ ბალკონზე, ფეს აკრეფით გამოჭევენ რიკულებს, მიადგნენ ოთახის ფანჯარას და დაუწევს ურება.

დედა სკამზე იჯდა, ალექსანდრე და მამა ოთახში დადიოდნენ ჩაფიქრებულნი.



— ქეთო, შენ დედას მოესვრე, მე კიდევ მამას  
წასჩურჩულა აჩიკომ.

— აჩიკო, მე ძალიან პრცხვუნია.

— რა დროს ეკ არის, მე კარებს გავაღებ და  
შენ შემომევი.

აჩიკომ ჩვეულებრივის სიძარდით შეაღო კარი და  
თვალის დასამსამებაზე მამას კისერზე ჩამოეკიდა. ქე-  
თო დედას ჩაეკრა გულში.

ეს ისე სწრაფათ მოხდა, რომ რამდენიმე სანს  
ვერც ერთმა ხმის ამოღება ვერ მოახერხა. ელენემ  
არ იცოდა, სიხშირი იყო ეს უოველივე თუ ცნადი.

— ჩემო, მამა, დამნაშავე ვართ და გვაპატიე!  
წამოძახა აჩიკომ და დაუწყო მამას კოცნა.

— გვაპატიე, ჩემო დედა, ღმერთმანი ჩვენი ბრა-  
ლი არ არის. დაიწყო ქეთომ.

ელენეს მეტის სისარულისაგან ტირილი აუვარ-  
და და სან ერთ შვილს იკრავდა გულში, სან მეორეს.  
ქეთოც ტიროდა. ალექსანდრეს და ვახტანგს ცრემ-  
ლებით თვალები ჰქონდათ სავსე, მარტო აჩიკო იყო  
გულ მაგრათ.

— მამა, ეტლი გვიცდის, მე და ზეტრე უნდა  
წავიდეთ ბატკნების მოხუჯანათ. დაიწყო აჩიკომ.

— ბიჭო, რა დროს ბატკნებია? სად იუავით, სად  
დაიკარგენით? დაუწყო კითხვა ალექსანდრემ.

— მკვას მერე გიტყვით. ახლა ბატკნები უნდა  
გადავარჩინოთ, თორემ დაკლავენ.

ვახტანგმა და ალექსანდრემ ჰატოხსანი სიტყვა  
მისცეს, ბატკნებს ჩვენ მოვიუჯანთ, ოღონდ შენ უკუ-  
ლაფერი გვითხარი სად იუავითო.

აჩიკომ დალაგებით შუატუობინა მათი განაზრვის დატუვეკებისა, ტუვეობიდან გამოზარვის ამბავი. ელენე და ვახტანგი ხან ჭიროდენ და ხან იცინოდენ.

აღუქსანდრემ იმ ღამესვე შუატუობინა ჰოლიციას უოველივე; აჩიკოს და ქეთოს ქუჩის სახელი კარგათ ახსოვდათ და სახლის გარეგნობაც. ამ ნიშნებით ჰოლიციამ მალე აღმოაჩინა და შეიპურო მისო და გუურქა.

ბატკნები ბავშუბმა სახლში მოიუყანეს და როდესაც სასაფსულოთ სოფელში წავიდენ, თან წაიუყანეს ბუბიასთან, რომელსაც აჩიკომ მეტ სახელათ ნაშელი დაარქვა.

ივ. გომართელი.





# ღ ი ლ



სხაფსულას ნახი დილბ  
მოძინბვლელათ ვადაძლილა  
და მტრედის ფერ ცის ტატნობი  
ვარდის ფურათ შეფურთილა.

ვდგეკარ ბაღმი... ვაბადრულებს  
ვსედავ ვვავილთ თაიგულებს;  
საღაძს უძღვნი გულითაღსა  
დილის ვარდებს გაფურჩქნულებს.

მოკახმულა მთლად ბუხება —  
ვერცხლის ნამი ვარდსე კრთება,  
ვეკლა სილი თუ ვვავილი  
ირთვება და იქარგება.

ა. | ფუტკარი ბანჯგკლიანი  
დაბზუილებს მარღაფრთიანი,  
იქ ბუღბული ჭანგებს უსტვენს  
მოსიძღერე ტკბილ-სმიანი.

გულმა მძღავრათ ფრთა გაძალა,  
სულმა იგრძნო თავის ძალა,  
და გონებამ ჭმუნვის ფარდა  
გადაიძრო, გადიცალა!

სავლე აბულაძე.





# ზურის ნატეხი

(თარგმანი)



რთი ზატარა მდინარის ნაპირზე  
ზატარა ქალბქი იყო გაშენებული.  
მდინარე ღრმა არ იყო; მასზე  
ნაჯები და გემები არ დაცურავ-  
დენ, მაგრამ წყალი კი სუფთა  
და ანკარა იყო. მისი მარცხენა  
ქვიშნარიანი ნაპირი ბალახით  
იყო შემოსილი. მარჯვნივ — ტყე.  
ბაღიებს უგუარდათ ჭეუძმალბობა  
და ბანახობა მდინარის ანკარა

წყალში და მის ნაპირზე გახურებული ქვიშის აკრო-  
ვებ. ქალბქის მოშორებით, მდინარის ახლო სვეი  
მიდიოდა, რომელიც ბარდითა და ფათალოთი იყო  
დაბურული, ამ ბაღახებში სააძურათ გამოსჭუტდა  
მშვენიერი წითელი უკაჯილები.

სვეის იქით მოსხანდა ტყე.

სვეის სმირ ბალახში იმალებოდა ერთი ფესმა-  
შველე, ზატარა ცხრა წლის ობოლი გოგონა. მას  
ეცვა დაფლეთილი ლურჯი ქვედატანი, ჭუჭუნიანი  
ნაცრის ფერი ხედატანი, საკსე თაუძალის ნაფხრეწი  
ეხვიან. მუქი გრუსა თმა ერთთავათ აბურმკნული  
ქონდა; იმისი ცხვრის ფერი თვალეები ზირქეძიგით



გამოიურებოდენ. საბრალო გოგონა ობოლი, უბრალო  
ნაო, უთვისტომო იყო. იკვებებოდა იმითი, რასაც  
აქა იქ მოასვლებდა, ასწაზნიდა. საბრალო ესო-ესო  
დაწანაწალებდა, თხოულობდა; ქალაქის მცხოვრებ-  
ლები ზოგნი გადმოურადენ ნასუფრადს, ზოგნი კი  
მშიერი ძაღლივით უტატანებდენ, ესოდან აგდებდენ.  
გულ გატყეილი ბავშვი იძალებოდა თავის ბალახე-  
ბის ბუნავში და იქიდან გაბრაზებული ზირქუშათ გა-  
მოიურებოდა წითელი ევაზილებთა შორის.

ერთხელ მდინარესთან მივიდა მხარსედ კოკა  
გადაკიდებული ჰატარა ბიჭი წელის ასავსებათ. ჰა-  
ტარა ბიჭიც ობოლი იყო, სხვათა კარის მოსამსა-  
ხურე, შრომობდა შეძლებისა და გვართ და ისე ინა-  
ხავდა თავს.

ამ ჰატარა, გამხდარ ბიჭს ქერა თმები ჰქონდა,  
მუქი წაბლის ფერი თვალები ღმობიერათ და სძირ-  
ჩამოფსატულ წარბებს ქვეშიდან თანაც მკაცრათ გამოი-  
ურებოდენ, ჰატარა ბიჭი მივიდა მდინარის ნაპირას,  
სადაც ხალხი წუალს ავსებდა; მაგრამ იქ ბავშვების  
ბანაობით და ურუეუძალობით წვალი ამღვრეული  
იყო. — მან ღვრია წვალით არ აავსო, ნაპირ-ნაპირ  
მდინარეს გაჭევა და მიაღვა ხევს. ხევის ჰირს მხეს  
მეტათ ჩამოეცხუნებინა, გარშემო სიწუნარე იყო. ბიჭ-  
მა ჩამოიღო კოკა, დადგა იქვე, დაჯდა ქვიშაზე, ამოი-  
ღო ჰურის ნატყეი და წუნარათ შეექცეოდა. ხევის  
ჰირას ბალახებში რაღაცამ გაიფაჩუნა. მიიხედ-მოიხე-  
და და დაინახა გაველურებული გოგონა. გოგონა გაფა-  
ციცებით შესცქეროდა ბიჭის ჰურის ნატყესს. — იგი

მშვერი იყო. თავის ცხვრის ფერ თვალებს გაუქმებდა. ღრათ აღევნებდა ბიჭის ჰურის ჭამას. მათში გამოკრთოდა ბოროტება. ბიჭმა აავსო კოკა, გადაიდო მხარზე და გასწია ქალაქისკენ. წასვლისას, რომ გორც ძაღლს, ჰურის ნატესი მშვერ გოგოს გადაუგდო.

— აჰა!

ჰურის ნატესი იქვე ბალახებზე დაფარდა, მაგრამ მშვერმა ბავშვმა ხელი არ ახლო, არ აიღო. ახლა უფრო სასტიკათ და ბოროტათ გამოიფურებოდნენ მისი თვალები. ჰატარა ბიჭმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უკან მოიხედა, — ჰურის ნატესი იქვე უგდო. იგი დაბრუნდა უკან, აიღო ჰურის ნატესი, მიუტანა, მუხლებზე დაუგდო გოგონას და აღერხინა ნათ უთხრა:

— ჭამე!

გოგონას თვალებში რისხვა უცებ გაუქრა; გაუბედავით აიღო ჰურის ნატესი, მიიტანა პირთან, ის იყო უნდა ჩაეკბინა, მაგრამ უცებ აკანკალდა და ტირილი წასკდა.

— ნუ ტირი, გოგონა! — სიბრალულით და თანაგრძნობით უთხრა ჰატარა ბიჭმა. — სჭამე! სრამ მშვერი ხარ. სჭადაც მოგიტან ჰურს; ეზო-ეზო ნუღარ ითხოვ, მე მოგიტან სოღმე აქ. ნუ ტირი, სჭამე!

მაგრამ გულ-ამომჯდარი გოგონა დიდხანს სლოკინობდა. დიდხანის დაგუბებულმა მწარე ნაღველმა ცრემლათ გადა მოსეთქა, რაც კი გა-



მოველო თავის ობლობაში, კარ-ღააკარ წანწაღღად სანაღღად  
 ვლახავოთ. ბოლოს დაძვირდა, აიღო ჰურის ნატეხი,  
 მადლობით გადაჭხედა ისევ იქ მდგომ ჰატარა ბიჭს,  
 ბავშურათ გაუღიმა და ჰურს ჭამა დაუწყო.

— ნუღარ იტირებ! — უთხრა ბავშმა გამოთხოვა-  
 ნისას და წავიდა.

ამ დღიდან მთლათ გამოიცვალა გოგონა. მან  
 აღარ მოინდომა ვეღურათ ცხოვრება ხევში; აღარ  
 მოინდომა რომ ძალღვივით უტატანონ ესოებიდან.  
 მართალია იგი ჯერ ჰატარა, მაგრამ შეუძლიან ცო-  
 ტა მანც იშუბოს, ფასი აიღოს, ქურდობას დაანე-  
 ბოს თავი, მაშინ ხალხი უფრო უკეთესათ მოეპერო-  
 ბა. აკერ ჰატარა ბიჭი, რომელმაც ჰურის ნატეხი  
 მისცა, მართალია ის ამაზე ცოტათი დიდია, მაგრამ  
 რა უოთ! აკი კიდევ მუშაობს და ჩემსავით ნადირივით  
 არ იმალება ხევ-ხევში, ხალხის მოშორებით.

ასე ფიქრობდა ჰატარა გავეღურებული გოგონა.  
 ის მთელი დღე ისუფთავებდა და ლახათიანებ-  
 და თავის დაფლეთილ ტანისამოსს, დილით რომ  
 მოვიდა ჰატარა ბიჭი წელის ასაკულებათ ვეღარც კი  
 იცნო გოგონა. ტანისამოსი გასუფთავებული ჰქონ-  
 და, თმები მეტის მეტი ხელის სძიო გადასტკეპნოდა,  
 გასწორებოდა, მისი თვალები ალერსიანათ გამოიუ-  
 რებოდენ. გუმინდელი რისხვა, სიმკაცრე სადღაც  
 გამქრბლიყო.

დათომ, ასე ერქვა ჰატარა ბიჭს, კალათით სო-  
 რბაი მოუტანა; მიგ ეწყო რბილი ჰური, შემწვარი  
 კართოფილი და ცოტა კარბი.

— სჭამე! ალერსით უთხრა დათომ და მიუდგა კაღაბით.

გოგონამ სული არაუფრს ახლო.

— მოიპარე? — ჰკითხა გაუბედავთ.

— არა, არ მოვიპარე. პური და კარაქი მე ვიყიდე, კართოფილი სახლის პატრონს ვთხოვე. სჭამე!

— უთხრა კვლავ ალერსით ბავშვმა. — ცოტა ფული კიდევ მაქვს, ხვალაც გიყიდი პურსა და კარაქსა.

მძივრმა გოგონამ დაუწყო ჭამა.

დათო წავიდა სახლში. პატარა ხანს უკან გოგონაც გაეყანა ქალაქისაკენ. შეიბრინა მასლობელს ეზოში და იკითხა „საქმე არა გაქვთ რა, გავაკეთებ“ ბედით საქმეც გამოუჩნდა, — ბოსტანი ჰქონდათ განსამარგლო. მთელი დღე ბუჯითათ ჰმარგლიდა; ასვენს, აჭამეს და საღამოთი ცოტა ფულიც აჩუქეს. ფულით მაქრის პურები იყიდა და სიხარულით მოჰქურცსლა თავის ბუნავისკენ.

დილით დათო წულისათვის მივიდა და კიდევ მიუტანა კართოფილი და პური. გოგონა კმაყოფილის დიდილით შესცქეროდა; ახლა ამასაც შეემლო გამასპინძლებოდა თავის მეგობარს. პური და კართოფილი რომ შეჭამა, აძან ამოიღო თავისი მაქრის პურები და მისთავაზა დათოს.

— ჭამე! — ალერსიანათ უთხრა მან.

ბიჭი მოიდრუბლა.

— მოიპარე? — ჰკითხა გოგონას.

— არა, — უპასუხა გოგონამ: — ჩემი ნამუშავარი ფულით ვიყიდე, ამის შემდეგ აღარ ვიქურდებ! სჭამე.



ამ დღიდან გოგონა ეოველ დღე მიდიოდა ქალაქში სამუშაოთ, საღამოობით ბრუნდებოდა ხევი და ბაღახების ბუნავში იძინებდა. მძინარე ბავშვს მდინარის წენარი დუდუნი ნანას ეუბნებოდა და ცა თავის ბრწინვალე ვარსკვლავებით სემოდან დაჭეურებდა, უღარაჯებდა.

აცივდა. გოგონა ერთ ზატარა ოჯახში დადგა მოსასმსახურეთ, ახლა ის მუქათათ აღარა სჭამდა ჰურსა. გოგონას დიდი კოკით წულის ზიდვა არ შეეძლო, მისთვის საგანგებოთ ზატარა კოკები იუიღეს და იმით ეზიდებოდა წუალსა. როცა მარტო მიდიოდა წულის მოსატანათ მდინარის იმ ნაპირზედ მივიდოდა სოლმე, სადაც უველანი ავსებდენ; — თუ დათოს და გოგონას მოუსდებოდათ ერთად წასვლა წულის მოსატანათ, მაშინ ისინი მიდიოჯენ იმ ხევთან, სადაც უწინ სცხოვრობდა გოგონა. დასხდებოდენ ქვიძახე და ლაპარაკობდენ. ერთმანეთს უამბობდენ ნანასსა და გაგონილსა.

გოგონა ეუბნებოდა დათოს, რომ მზად არის დღე და ღამე იმუშაოს, უსძელ-უჭმელი, უძილო დარჩეს, ოლონდ წუალზე მიძავალს მესგდეს სოლმე მას გზახედ და თავის გულის დარდი გაუზიაროს.

ობოლი დათოც ძალიან შეეჩვია გოგონას, როგორც თავის დას და მოწუენილი იყო სოლმე, თუ რამდენიმე დღეს არა ნახავდა.

სიცოცხლე დაიჭირა. ხევი დაცარიელდა, ბაღახი გახმა, მოიტუსა, მაგრამ გოგონას კარგათ

ახსოვდა ის ადგილი სადაც დათომ ჰირველათ მისცა  
პურის ნატეხი.

გახსოვდა. ბავშვებმა ჩვეულებრივით დაიწვეს  
თავის მოურა ხევისა და მდინარის პირს.

დღესასწაული იყო; ცხელოდა. მუხლასას და-  
თო და გოგონა ხევის პირ მდებარე ტუეში შევიდენ,  
დასხდენ ჩრდილ ქვეშ და მოაგონეს თავიანთი წარ-  
სული. გოგონამ გაჭხედა ამწვანებულს მინდორს და  
უთხრა;—დათო, აკერ ის ადგილი, სადაც ჯერ რო-  
გორც ძაღლს გადმოძიგდე პურის ნატეხი და ძერე  
კი ადამიანურათ, ალერსიანათ მომაწოდე. ალერსით  
მოცემული პურის ნატეხი არ დაიკარგა. ხედავ, მე  
სულ გამოვიცვალე, კეთილს გზას დავადექი, ჩემს  
დღეში არ დაძავიწუდება შენი გულკეთილათ მოცემუ-  
ლი პურის ნატეხი.

ან. ახალშენიშვილია.





# როგორ ირჩენენ ცხოველები თავს.



არეული ცხოველები და ის ცხოველები, რომლებიც თავისუფლად, ღაღად სცხოვრობენ, ძალიან იშვიათათ ხდებიან აუათ. ან რა გასდის მაგათ აუათ? ისინი სუფთა ჭაჭირით სუნთქავენ, საღ საჭმელსა სჭამენ, დროსე იძინებენ, იღვიძებენ, ისე მოაწყობენ თავის ბინას, როგორც მათთვის სასარგუოდია. სულ სხვაა, როდესაც ცხოველები ადამიანთან სცხოვრობენ და ძალა უნებურათ იმის ცხოვრებას ეთვისებიან. მაშინ ტკივილებიც, ავათქოფობაც ათასნაირი უჩნდებათ. გარეული ცხოველი რომ ცუდთა გრძნობს თავს — ჭამას უკლებს და მოსვენებას ეძლევა. როცა სიცხე აქვს, გრილ ალაგს ეძებს, როცა აციებს მაშინ შხეზე თება. თუ ძალიან ცუდთა გრძნობს თავს, მაშინ ჟევა თავის სოროში, ბუნაკში და ორი საში დღის შემდეგ სულ მთლათ სადი გამორდის იქიდან. ჭრილობებსაც ძალიან ადვილათ ირჩენენ. მაიმუნი როდარჭრება ხოლმე დიდ-ხანს უჭირავს ხელთ დაჭრილი ასო, რომ სისხლი შესწვიტოს, მერე კი ღეჭავს რაღაც ბლახს და იმას იღებს ჭრილობაზე. თუ რომელიმე ასო ტანისა, მაგალითათ ათა

თი, უური, კუდი და სხვა ძალიან აქვთ დაჭრილი, ისე რომ ფაშფაღი გააქვს, მაშინ სულ მთლათ იმორებენ იმ ნაწილს და თავიდან იცილებენ იმის მოკლად-მოწინას. შინაური ცხოველებიც დიდ-ს-ანს ვერ გადაეწევიან სოლმე ბალახ-ბუღასით და წელით წამლობას. მაგალითით, კატა ხომ ბალახს არა სჭამს, მაგრამ ხშირათ ავით რომ კახდება, მოძებნის რაღაც ბალახს შესაჭმელათ. ეველახე ძნელათ და საშიძრით ღორი სდება ავით, მაგრამ როგორც კი წამლათ გამოსადეგ ბალახს ან რომელიმე მცენარის ფესვს შესჭამს, მაშინვე კარგათ სდება. ეველახე უებარი წამალი კი ცხოველებისთვის წუბალია. გეცოდინებთ როგორ ეშინია წულისა კატას, მაგრამ ერთი დაჭრილი კატა ორი დღე დარჩა წუბაში, სანამ იარა არ მოურჩა. ძაღლი კი, რომელიც ურემ ქვეშ მოჭევა, საძი კვირა იწვა ღელეში, სანამ სულ არ მორჩა. გველის ნაკბენისგანაც ძაღლი წუბალით ირჩენს თავს. ნაკბენი ალაგი წუბაში აქვს სოლმე მორჩენადის.

მოძებნებულათ ცხოველები თავის ნერწეკით ირჩენენ იარებს და ძართლაც ზოგი ცხოველის ნერწეკი უებარი წამალია ჭრილობისთვის. ერთ ძაღლს ქვით შუბლი გაუტყეს. ის მაშინვე ბნელ კუნჭულში დაწვა და მერე თავის იარის წამლობა დაიწყო: რადგან ენით ნატკენ ალაგს ვერა სწვდებოდა, ჯერ ნერწეკით თათს დაისველებდა და მერე იარახე იდებდა, ასე სხადიოდა სანამ იარა არ მოურჩა.

ცხოველები, როგორც ადამიანები, კულ შემატკივრები არიან და ავადმოფობას დროს ერთმანეთს



უკლიან სოლმე. ერთსეულ, ოძის დროს, მთელი სო-  
ფელი გაიხიზნა და ერთ ეზოში ჯაჭვით დაბმული  
ავატმოფი ძაღლი დარჩათ. ეზოს მახლობლათ, სე-  
ზე ევაჟს ჰქონდა ბუდე. ევაჟს ისე შეეცოდა ეს ავა-  
დმოფი ძაღლი, რომ ეოველ დღე მოჰქონდა მისთვის  
ძვალი, სორცი ან კიდევ სხვა სორაგი და სძირათ  
თითონ არ სჭამდა, რომ ბაღლისთვის არ დაეკლო.  
ბევრჯელ გენახვებთ როგორ ჩსუბობენ სოლმე ძაღლი  
და კატა, მაგრამ ავადმოფობის დროს თურმე ესენიც  
ივიწიებენ ეველაფერს. ერთ კატას ავადმოფ ძაღლი-  
სთვის მოჰქონდა მუდამ, ჰურის ნატყსები, ძესვის  
ნაჭრები და სხვა. ერთ წისქვილთან მელიას ჰქონო-  
და სორო და მეწისქვილის ქათმებს მუსრს ავლებდა,  
მეწისქვილემ უთვალთვალა და ერთ დღეს მელია სო-  
როსთან მოჰკვლა, თურმე მელიას სამი შვილი ჰყო-  
ლოდა სოროში და საფანტით ისინიც დამავებული-  
ყვენ. მეწისქვილემ კი ეს არა იცოდა-რა და ძალიან  
უკვირდა, რომ იძის კატამ წამ და უწუძ სოროში  
სირბილი დაიწყო და რამდენიმე ხნის შემდეგ კი  
სოროდან მელიას შვილები თავისთან გადმოათრია  
და თავის მუშუთი გამოსრდა დაუწყო. აი კიდევ მა-  
გალითი: როდესაც ჭიანჭველა თავის დაჭრილ მო-  
ძეს ნახავს, მაშინვე ჰირში თავის ჰირიდან რაღაც  
სითხეს ჩაუსხამს სოლმე, თუ ავადმოფუს სიარული  
თითონ არ შეუძლია, მაშინ ერთობ ამხანაგებს ბირამ-  
დის თითონ გადაჰყვავთ.

შინაური ცხოველები არასდროს არ ივიწიებენ  
ადამიანის სიკეთეს, მაღლიერნი არიან და ენდობიან

მათ. ადამიანმა ერთხელ მანაც რომ მოაჩინოს ცხოველი, ის სამუდამოთ არ ივიწყებს სიკეთეს და ცდილობს რითიმე გადაუსადოს. ერთხელ სწილოს შვილი ჰქუავდა ავან, თავში იყო დაჭრილი და ისე გამწარებული იყო, რომ ჰატრონსაც არ უშვებდა ახლო. ჰატრონმა ხელებით ანიძნა დედა სწილოს, რომ იმის შვილის მოჩინა უნდა. ჰკვიანი ცხოველი მიუსვდა ჰატრონს, მაშინვე მოჭხვია შვილს ხორთუმი, ძალით დააწვინა და იქამდისინ ეჭირა, სანამ ჰატრონმა წამალი არ დაადო ჭრილობაზე. როდესაც სწილოს შვილი მოურჩა, დღე არ გავიდოდა ისე, რომ თავის ჰატრონისთვის რაღაც თანაგრძობა არ გამოეჩინა. სან ჰალტოს გახდიდა ხოლმე, სან ქუდს ან ჯოსს ჩამოართმევდა, ან იმის ჰატარა ვაჟს ატარებდა ზურთით და სხვა.

ერთმა კაცმა ხეს ქვეშ დაკოდილი ვეაზი იპოვნა, ხელში აიუვანა, სახლში მოიუვანა და მოაჩინა. ამის შემდეგ მადლიერ ვეაზს ეოველ-დღე მოჭქონდა თავის ექიმისთვის სხვა და სხვა საჩუქრები. ან ძვალს მოუტანდა, ან კვდარ თავს დაუდებდა საწერ მაგიდაზე და თითონ ფანჯარაში გაფრინდებოდა. მაგრამ დასეთ ვეაზის შეწუხებას, როდესაც ერთ დილას ფანჯარა დაკეტილი დახვდა.

ვევლასზე უფრო სიკეთის დამნახავე ცხოველებში, მადლია. ერთ ექიმს ქუჩაში ფეხში დაჭრილი მადლი აუღვენა, ექიმმა შინ შემოიუვანა და ჭრილობა შეუსვია. ამის შემდეგ მადლი ეოველ დღე მოდიოდა მასთან მადლობის გადასახადელათ და ბოლოს თან აუარებუ-



ლი ავადმყოფი ძაღლები მოუყვანა. ამის შემდეგ უკი-  
მი ისე არ გამოვიდოდა ქუჩაში, რომ უკან ძაღლების  
ამალა არ დადევნებოდა, ხელს ულოკავდენ, გარშემო  
უვლიდენ და კულებს აქიცინებდენ.

თარგმანი

კულარაჭა.



ბიძგის  
მეც მათგან  
მეს ნიძგ  
ინტეჯგომე  
იდეჯი იუიბე  
თეცტენ  
მათის  
გდტორე



სსუპი  
იქონება

## ა კ რ ო ს ტ ი ხ ი .

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ \*).

ცოდვით ააგებეს მის პატრონს,  
რომელსაც შეეყარების,  
ორმოცი დღისა სტუმარსა,  
ვერაინ მიეყარების;  
ფერსა შეუცვლის ავადმყოფს,  
სახე აქვს უმეცარების,  
იმის დააბმენ, მოჰკლავენ!  
სიცოცხლე ჩაემწარების!..

## შ ა რ ა დ ა .

(მის მიერ წარმოდგენილი)

„პატრონო!“-ს ნაცვლათ შეჰყვირებს,  
რომელიც გაუზრდელია;  
მეორე ჰქვიან მრავალ ხალხს,  
სომეხი თუ ქართველია.  
მთელია—სუფთა ნიავი,  
უიმისობა ძნელია;  
თუ წამხდარია, მაშინ კი,  
მაგნეა, სულის მხდელია.

## სახუმარო კითხვები და გამოცანები.

ვისა აქვს ფეხზე ორი ტყავი?  
რა შეიძლება იყოს ცარიელ ჯიბეში?.

\*) მიხეილ ლელაშვილი გარდაიცვალა 2 მაისში. იგი ჯეჯილის რედაქციას, თითქმის დაარსებიდან, დრო გამოშვებით აწოდებდა აკროსტიხებს, შარადებს და სხვა წერილმანს. თუმცა ღარიბი, ხელოსანი, კაცი იყო, (დიდხანს თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა), მაგრამ გ.ს.მრჯელიანს არას იღებდა. იგი დიდ სიღარიბეში გარდაიცვალა.





# ჩანჩქერი.



ოჩანჩქარებს,  
ვერცხლის ცვარებს  
მოაპნევს და მოხტის ცქვიტათ,

ფოთოლ კვირტებს,  
მარგალიტებს

ყურზე კიდებს ყურსაკიდათ!..

შიგ ფირუზ ცის  
სხივები მზის

ხუტუტ ქაელში კაშკაშობენ

და ჭრელ კაბა,  
ყელ ღილაბა

კალმახები თამაშობენ!

მოჩანჩქარებს,

ვერცხლის ცვარებს

მოაპნევს და მოხტის ცქვიტათ,

ფოთოლ-კვირტებს,

მარგალიტებს

ყურზე კიდებს ყურსაკიდათ.

ვ. რუხაძე.

# სიმონიკას წერილი



ვირფასო დედავ!

პირველათ მოგიკითხავ დედა-შვილური სიყვარულით და ღმერთს ვთხოვ შენს კარგათ და ბედნიერათ ყოფნას. მომიკითხე ცაცალა და მამა. ისევ ისეთი ეშმაკები არიან? რომ იცოდეთ, როგორ მენატრებით? ნეტავი ერთი დამანახვა მანდაურობა და მაშინვე გამოვბრუნდები, არ ვჩივი.

ახლა ვიცი, დედა-ჩემო, ძალიან დარდიანათ იქნები მამის გამოისობით. ხომ არ მივიღიათ რამე წერილი? ან ტრიფონა არათერს იწერება?

მე ენახავ თუ არა სადმე გაზეთს, მაშინვე ვიწყებ იმ ადგილის ძებნას, სადაც დაჭრილთა სიას ათავსებენ. ვეძებ ჩვენს ვეარს და მამის სახელს, მაგრამ ჯერ არათერი სწერია. ისე ბევრი შემხვდა ჩვენი ნაცნობი: დიმიტრას ბიქისთვის ფეხი მოუჭრიათ, თეოფილეს ლუკა უგზო-უკვლოთ დაკარგულა, მათე ინქაძე მოუკლავთ, მოსე ტყვეთ წაუყვანიათ. ხომ ეცოდინებათ ახლა შინაურებს? რა უბედურობა დატრიალდებოდა?

ვინ იცის, საწყალი მამაც — დასწერა სიმონიკამ ეს სიტყვები და დაფიქრდა: „რალა მიწერა უნდა? თვითონ კი არა ხედავს, რომ აღარაა კარგათ საქმე? რაც წაიყვანეს ერთი წერილის პეტი არ მოუწერია. „ახლა ნამდვილ ომში ვავდივართო“, იწერებოდა. ვაი მე თუ... სიმონიკას თვალეებზე ცრემლები მოადგა, თავი ჩალუნა. ცოტა ხანს ასე იყო. მერე ასწია თავი, წაშალა წერილის ბოლო და განაგრძო:

ჰო, ნუ გეშინია, დედა, გაიმაგრე გული. ნუ შეშინდები. მე ჩქარა გავეჩვევი და იქნება ჯამაგირიან ადგილზეც გადავიდე სადმე. პირველ წერილში კი შეგაშინე, მარა მაშინ მეც ძალიან გულ გატეხილი ვიყავი. მთელი კვირა ისე გავიდა, სად ვიყავ არ ვიკადი. მეგონა ყველა მე მიჯავრდებოდა.

არც რამეს მსაქმობდენ, რომ დარდიანი გული გამერთო წყალიც კი არ იყო საზიდავი. წყლის მილი პირდაპირ ცომის საზელ ვარცლშია გამოყვანილი. რაც დრო გავიდა მით უფრო შევეჩვიე ყველაფერს. ეგენიც შემეჩვიენ. უწინ თუ „ბიჭოს“ მეძახდენ, ახლა სიმონიკას მეძახიან. „ხაზენიც“ აღარ მიბღვერის უწინდებურათ. ხედავს, რომ მეც სასარგებლო ვარ მისი საქმისთვის. ახლა ბევრ რამეს ვაკეთებ. ისე გავეჩვიე, რომ ჩასაკრავი პურის გამოყვანაც კი შემიძლია. ცომსაც მახელინებენ. ძალიან ვიღლები. მკედარივით მივეგდები, როცა დასაძინებლათ გამიშვებენ. წინეთ პურის საზელი და დასაძინებელი ოთახი ერთათ იყო, ახლა კი ცალკე გააკეთებინეს. ერთ კვირას დაბეჭდილიც კი იყო ამის თაობაზე ღუქანი.

ჩვენებურები ბევრი ყოფილან ქალაქში, მარა ჯერ კი ვერავინ ვნახე ერთი რომ ვინ მომაცლის და რომც გამიშვან, ვის ვიპოვი? არსად არ ვყოფილვარ.

ჩემი ხაზენის ღუქანი მთა-წმინდაზეა. რომ დაღამდება აქედან გადახედვას არაფერი სჯობია.

შორიდან ყველაფერი მიმზიდველი და ლამაზი ყოფილა, დედილო! ჩვენს სოფელსაც არაფრათ ვაგდებდი სანამ მანდ ვიყავი, ახლა კი თვითეული ხის ძირიც მენატრება. გახსოვს ტყეში რომ წავიდოდით ურმით მე და მამა? მართლა, ხარები როგორ არიან? ჩალა ხომ არ გამოგელიათ? ნიშას რქები გაეზრდებოდა. წაბლას ისევ ისე ძირს მიაქვს თავი უღელში რომ შეაბამენ? მარა ახლა ვინღაა ჩვენსას, რომ ხარების ხედნა შეეძლოს? დედა, ხარები არ გააქირაო, იცოდე; დაუწყებენ ცემას და გაილახებიან. მეტადრე ქაიხოსროს არ ანდო; დააყრის ქვეყნის ტვირთს და დაუწყებს შოლტის ზაპა-ზუპს.

ჰო, სოფელშიც ხომ ბევრია სანატრელი და სახალისო, მარა არც ამ დალოცვილ ქალაქში ყოფილა ნაკლები.

გაიგებდით სოფელშიც, რომ აკაკი გარდაიცვალა. რაც მე მის დასაფლავებაზე ვნახე, სოფელში თუნდ ასი წელიწადიც მეცოცხლა. იმისთანას ვერაფერს ვნახავდი.

რა ამბავი იყო, რა ამბავი, დედა, რომ იცოდე? რას ვიფიქრებდი, თუ ქალაქში ამდენი ხალხი იყო? მარა დავიწყებ თავიდან.



შაბათი საღამო იყო, როდესაც არისტო (ჩვენთან, ქვეყანაში შობს) მოვიდა საიდგანლაც და სთქვა:

— აკაკის პანაშვიდი ამ საღამოზეც არის. დღეს შუადღისას ყოფილა, გალავანში სიტყვებიც წარმოუთქვამთ. ამაღამაც ილაპარაკებენ თურმე. წამო, ბიჭო სიკოია! (ესეც ჩვენთან არის) თონეს სიმონიკაც უგდებს ყურს ცოტა ხანს.

— ნეტავი შენ ერთი, ისეთი დაღლილი ვარ, ერთი დასვენება ათას მანათს მირჩევნია. ხაზეინიც არ არის აქ, მოჰყვება მერე ბლევრას.

— რაც უნდა სთქვას, მე მაინც უნდა წავიდე, სთქვა არისტომ და გავიდა დუქნიდან.

თან გავეყვი.

— არისტო, შენი ქირიმე, წამიყვანე მეც — შევეხვეწე, როგორც კი შემეძლო.

არისტო, შებრუნდა დუქანში და სიკოს დაეკითხა:

— ეს ბიჭი თხოულობს წამოსვლას და წავიყვან, კაცო?

— მომშორდით ერთი, სადაც გინდათ იქ წადით — შემოუტია მან.

— წამო! — მითხრა არისტომ და გავიდა ქუჩაში. დაუწყებულ ქუდს ძებნა, ვერ ვიპოვე. მივანებე თავი და ისე, უქუდოთ და ფეშტემლით გამოვეუდექი უკან. სიხარულისაგან ფეხებს მიწაზე აღარ ვადგამდი. პირდაპირ მიფერინავდი.

გალავანის კარებთან აუარებელი ხალხი დაგვხვდა თავმოყრილი.

ნაწილ-ნაწილ უშვებდენ. სულ კუდში მოვექეცი. არისტოს კი არ ვშორდებოდი, დაკარგვის მეშინოდა. კარგა ხანს ვიცადეთ.

— ბოლოს ერთმა ძალაღმა, უღვავა ყმაწვილმა დაიძახა:

— გააღეთ კარები, შეიძლება ხალხის შემოშვება. იგრილა ამდენმა ხალხმა და შეიქნა ერთი ქულეტა. როგორც იყო მოვექეცი გალავანში. ნეტა გენახა, როგორ იყო იქაურობა გაჭედილი? ეკლესიაში შესვლას ვინლა ეძებდა. დიდხანს ვიდექით ისე ერთ ალაგას და ველოდით ლაპარაკის დაწყებას. თურმე პანაშვიდის გათავებამდე არ აძლევდენ ნებას. ბევრმა წასვლაც კი დააპირა.

ამ დროს ვილაკამ გამოიტანა ჩარჩოში კოხტათ გაკეთე-

ბული სურათი და დადგა ეკლესიის კარებთან მოაჯირზე. სურათი გარშემო ელექტრონით იყო განათებული.

ხომ გახსოვს, ამას წინათ რომ მოგწერე, ჩვენს დუქანში ელექტრონია გამოყვანილი მეთქი. ისე, უნავთოთ უკიდია, შუშებშია რაღაც მოწყობილი.

უკვე მიმხვდარი იქნები ვისიც იქნებოდა ეს სურათი. ეს იყო აკაკი.

დედა, დედა, რა ლამაზი იყო! იმაზე ლამაზი მე არაფერი მინახავს არსად. ხატისაგან ვერ გაარჩევდი.

ყველამ ქუდი მოიხადა. მეც ვიტაცე თავზე ხელი, მარა ქუდი კი აღარ იყო. დამავიწყდა, რომ უქუდოთ ვიყავი.

„სიჩუმე“! — გაისმა ხალხში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, გეგონებოდა გალავანში ერთი კაციც არ სდგასო.

ვილაც სკამზე შედგა, მიბრუნდა სურათისაკენ და დაიწყო: — დიდებულო მგოსანო!

ჩემდა საბედნიეროთ იმ ადგილთან სულ ახლო მოვხვედრილიყავ. ძალიან ცოტა გავიგე ნალაპარაკებიდან. ბევრმა ილაპარაკა. იყო ჩოხიანიც, ცილინდრიანიც, მოხუცი, ახალგაზრდა, ილაპარაკა ქალმაცკი. ზოგი კითხულობდა, ზოგიც ზებირათ ლაპარაკობდა.

ერთმა, იცი რა უთხრა, დედა? შენ იმიტომ გამოხვედი ასეთი ნიჭიერი და კარგი მწერალი, რომ გლახის ქალმა გაწოვა ძუძუ, პატარაობისას გლახის ბიჭებში ტრიალობდიო. ეს კი გამიკვირდა ცოტა, ვერ გავიგე.

ირგვლივ ისე იყო ხალხი შემოხვეული, რომ ეკლესიიდან გამოსვლა შეუძლებელი შეიქნა.

„გამოგვიშვით, ვიხრჩობითო!“ — დაიყვირა ვილაცამ ეკლესიაში.

შეწყდა ლაპარაკიც და ხალხიც დაიძრა გალავნიდან. დიდი ხნის ქუცების შემდეგ ჩვენც გამოვძვერით.

რა კარგ ხასიათზე ვიყავი მაშინ, დედა! რამდენი რამე გავიგე! ნეტავი იმდენი მესმოდეს, ვინც როგორ უნდა ილაპარაკოს გაგება შემეძლოს?!

დუქანში რომ დავბრუნდით ხაზეინი მოსული დაგვიხვდა. ერთი კი გადმომიბღვირა, მარა არაფერი უთქვამს. რომც ეცემნა არ შეტკინებოდა, იმდენი რამე ვნახე და გავიგონე იმ



დამეს. ის კარგი გაბრწყინებული, ჯალარა წვერით შემოსული ლამაზი და დიდი სახე არ დამავიწყდება ჩემს დღეში. ჩემს დავიძინებ ის სურათი სულ თვალ წინ მიდგია. სულ ილიმება, იციანის.

მეორე დღეს, კვირას დანიშნული იყო აკაკის დასათლვა.

ღილით ყოველთვის ბევრი სამუშაო გვაქვს და აბა ვინ გამიშვებდა?

სწორეთ ჩვენს ქუჩაზე ამოივლიანო, სთქვა არისტომ. ჩემს სინხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. თან ცოლს ვზეღდი და თან ვლიძინებდი. დაღლილობას სულ არ ვგრძობდი.

ნაშუადღევს გაისმა ჩვენს ქუჩაშიაც: „მოსავენებენო“

სახლის აივნები სულ სავსე იყო მაყურებლებით. ჩვენც დუქანს წინ ვიდექით. ღმერთო, რამდენი ხალხი იყო, რამდენი!...

დუქანს რომ მოუახლოვდენ, ვეღარ მოვითმინე და შევერიე ხალხში.

რამდენი დროშები, რამდენი ბაირალები მოჰქონდათ! გვირგვინი კი ერთის მეტი არ იყო. ისიც სულ უბრალო. თურმე თვითონ დაიბარა, გვირგვინებს ნუ მოიტანთ, თუ ფულის გამოღება გინდათ, აი ამა და ამ საქმისთვის შემოსწირეთო. ქე სთქვეს რა საქმეც დაუსახელებია განსვენებულს, მარა ვერ დავიხსომე, ძნელი სიტყვები იყო.

ცოტა გავიარეთ თუ არა, გაისმა ბრძანება: „შეკარით წრე, უბილეთოთ აღარავინ გაუშვათ“. ხელათ შეიკრა გზა, უბილეთოთ აღარავინ გაუშვეს.

ბევრი ვეღრიჯე ვინც უშვებდა, მარა არა ქნა და არა. „შენ რომ გაგიშვა, სხვას როგორ — და უთხრა უარიო“? მაინც არ ვეშვებოდი. მაშინ მომვარდა ერთი ჯალარა კაცი და ისე შაგრათ მკრა ხელი, რომ სხვას არ მივხლოდი ზედ ქვებზე დავეცემოდი.

რადას ვიზამდი? ყურებ-ჩამოყრილი დავბრუნდი დუქანში. ჩქარ-ჩქარა გამოვხტებოდი ქუჩაში და შურით მოვაველებდი თვალს მთა-წმინდის ფერდობებზე მოჟუენილ ხალხს.

„აკაკის გაზეთი, აკაკის გაზეთი“ — შემოიძახა ამ დროს



კარებში ერთმა ჩემოდენა ბიჭმა. დუქანში არავინ იყო. ის იყო უნდა წასულიყო, რომ დაუძახე:

— აბა, მოიტა ერთი კაი გაზეთი მომეცი მეთქი. შენი გამოტანებული ფულიდან ათი შაური კიდევ მქონდა დარჩენილი.

— შენთვის გინდა?—მკითხა ბიჭმა. ცოტათ კი შევფიქრდი, მარა მაინც უთხარი—ჰო, მეთქი.

მომცა. შაური გადამახდინა. დავკეცე და ჩავიდე უბეში. ერთი კიდევ გავიხედე ეკლესიისაკენ. ბინდდებოდა. გადავწყვიტე მეორე დღეს მაინც მენახა ჩვენი აკაკის საფლავი და ამით დამშვიდებული შევუდექი მუშაობას. უკვე ბნელოდა, როცა უკან დაბრუნებულმა ხალხმა ჩამოიარა.

დალამდა. ხაზინი სადღაც წავიდა. ჩააკრეს პური და თორნე დახურეს.

— აბა, სიმონიკა, ყური უგდე თორნეს. პური არ დაიწვას. როცა ამოსაყრელი იყოს, გამაღვიძე!—მითხრა არისტომი და წავიდა დასაძინებლათ.

გადავაწევი თორნეს და დავიწყე ფიქრი. მომაგონდა გაზეთი. გადავაფინე თორნეზე და დავიწყე თვალიერება. დაქრილეთის სია არ იყო დღეს მოთავსებული.

ძალიან წვრილი ნაბეჭდი იყო. ელექტრონის მეორე ლამპაც ავანთე. მთელი გაზეთი აკაკიზე იყო. პირველ გვერდზე ძალიან ცოტა გავიგე. სწორეთ ისე, როგორც ვალავანში ნალაპარაკევი. ავხადე თორნე და პური გავმინჯე. ჯერ კიდევ აღრე იყო. განვაგრძე გაზეთის თვალიერება.

### „იმერული ნანინა“

წავიკითხე სათაური. ვერ აგიწერ, ძვირფასო დედავ, თუ როგორ მომეწონა ეს ლექსი. ვკითხულობდი და კიდევ მინდოდა კითხვა. არც დაწალოვას ვგრძნობდი, არც შეძინებოდა.

ოჰ, რა ძალიან მინდოდა, დედა, ამ დროს შენი ნახვა, შენს ძუძუებში თავის ჩადება და ამ ლექსის ისე წაკითხვა!

დედა ეტყვის: „გენაცვალოს, შენი მშობელიო, ძუძუებში ჩავივლია პაწაწა ხელიო!“

შენს ვაჟ-კაცობას მომასწრებს მე ღვთის-მშობელიო. მამა—შენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო.“

აი ნაწყვეტი იმ ლექსიდან, დედილო! სულ რომ ამოვწერო კი მინდა, ისეთი კარგი სიტყვებია, მარა დიდი ლექსია და ქალაღი არ მეყოფა.

ახლა მაგონდება სკოლაშიაც ვსწავლობდი ამ ლექსს, მარა მაშინ არაფერი გამიგია. ეს კი მახსოვს: ვინც ზეპირათ არ ისწავლის უსადილოთ დავტოვებო—გამოგვიცხადა მასწავლებელმა.

ახლა, ყველა იმის შემდეგ, რაც ვნახე და გავიგონე, ისე კარგათ მესმის თვითეული სიტყვა, რომ სამჯერ კიდევ წავიკითხო, ზეპირათ ვიტყვი.

ახლა ისიც გავიგე (ამ გაზეთში სწერია), რომ ეს ლექსი აკაკის დაუწერია იმ დროს, როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდნილა ჩვენში. წავიკითხე სხვა წვრილ-წვრილი ამბებიც. ბოლოს ავიღე ქალაღის ნაგლეჯი და დავწერე:

„ჩემო აკაკი“.

უკაცრავათ, ქალაღის ნაგლეჯზე ვწერ, მარა შენ ისეთი კეთილი კაცი ყოფილხარ, რომ ვიცი არ გამიჯავრდები. ძალიან მომეწონა შენი „იმერული ნანინა“. როცა კი რამე გამიჭირდება, ყოველთვის ამას წავიკითხავ. გეფიცები ძვირფასს დედ-მამას, ვიშოვი თუ არა ფულს, გავიგებ საღ იყიდება ქართული წიგნები და რაც კი შენი ნაწერია ყველას ვიყიდი. ვიკითხავ და ვიკითხავ სულ მუდამ. შენ ხომ უსათუოთ სამოთხეში იქნები და შეევედრე უფალს, მამა-ჩემი ცოცხალი დააბრუნოს ომიდან. რაც წავიდა ერთი წერილის მეტი არ მოუწერია.

სწერს სიმონიკა თბილაძე.

აი ეს წერილი დავწერე და ჩავიდე ჯიბეში. პური უკვე გამომცხვარიყო. არისტო გავაღვიძე.

მეორე დღეს ხაზინმა მეზობელ მეპურესთან გამგზავნა პურის მოსატანათ, შემოეღია და უნდა ესესხნა. თუ მზათ არ იყოს დაუტადეო—თან დაუმატა.

ლოდინი მართლაც საჭირო შეიქნა. მამა-დავითის ეკლესია, სადაც აკაკი დაასაფლავეს, აქედან სულ ახლოს იყო. ვიხელთე დრო და გავიქეცი საფლავის სანახავათ.

იმ ადგილას რომ მივახწიე, საიდანაც წინა დღით გამო-

მაბრუნეს, მივიხედ-მოვიხედე, ასე მეგონა კიდევ დამიჭერდა ვინმე.

„ბილეთი!“ შემომესმა ვილაცას ხმა, მარა კი არავინ იყო.

ავიბრინე როგორც იყო დიდი აღმართი და შეველი გა-  
ლავანში. არავინ მოსჩანდა. დავუწყე ძებნა ახლათ მონათხარ  
საფლავს. ვიპოვნე. შეიძლება ასე ჩქარა ვერ მენახა, მარა  
საფლავის თავში პატარა კარავში დასვენებულ სურათს მოვ-  
კარი თვალი.

მივედი. ქული მოვიხადე. პირჯვარი გამოვისახე. კიდევ  
მივიხედ-მოვიხედე, არავინ იყო. ამოვიღე ჩემი წერილი და  
დავდე კარავში სწორეთ იმ ალაგას, სადაც აკაკის სურათი  
იყო დასვენებული.

კიდევ გადავიწერე პირჯვარი და გამოვბრუნდი. არავის  
არ უთხრა, დედა, ეს ამბავი, დამცინებენ. ძალიან მიხარიან,  
რომ შენ წერა-კითხვა იცი, არ მინდა ეს წერილი სხვა ვინმემ  
წაიკითხოს...

სხვა რაღა მოგწეროთ? გაკოცებთ ყველას. ამ წერილს  
იასონას ვატან, დიანოზას ბიქს. სალდათობა უწევს საწყალს.  
ცხრამეტი წლისაა მხოლოდ და ახლავე კი ეძახიან. ძალიან  
კარგს ადგილზე იყო, კარგი ჯამაგირი ჰქონდა. თუ ვადარჩა,  
ქე მისცემენ ისევ ალაგს, მარა ახლა არავის არ ანთავისუ-  
ფლებენ თურმე.

აბა შენ იცი, როგორ ყოჩაღათ იქნები. მომიკითხე დი-  
დის მორიდებით ყველა ნაცნობი და ნათესავი. კიდევ გა-  
კოცებ.

გწერს შენი შვილი სიმონიკა.

\*  
\*

ორი დღის შემდეგ თფილისის ერთ-ერთ გაზეთში დას-  
ტამბული იყო შემდეგი:

„უკვდავი აკაკი“.

ამის შემდეგ მსხვილი შრიფტით აწყობილი იყო სიმონი-  
კას ის წერილი, რომელიც აკაკის საფლავზე დასტოვა მან.

„ეს წერილი — დასძენდა რედაქცია — გუშინ უპოვნიათ

უკდავი აკაკის საფლავზე, როდესაც ფოტოგრაფი საფლავის სურათს იღებდა.

ეს გულ-უბრყვილო, ბავშური გულ-წრფელობით დაჯღაზნილი წერილი ნათლათ ამტკიცებს, თუ სანამდე სწვდება სულმნათი მგონის მბრწყინავი შუქი“.


საბრალო სიმონიკა, ვინ იცის, ეგება ვერც კი გაიგო, რომ შენი თორნეზე დაწერილი „სიტყვა აკაკისადმი“ გაზეთში ჩაეწერა?! ვინ იცის!..

გიო.



# ნიშა ყვავი.

(ე. სეტან-ტომასონისა)



განა მართლა ბევრი ჩვენგანი იცნობს გარეულ ნადირებს? მე აქ არ ვამბობ იმ გარეულ ნადირებს, რომლებიც ზოოლოგიურ ბაღების გალიებში არიან მოწყვდეულნი, არა-

მედ ვამბობ: ვიცნობთ თუ არა ახლოთ მათ ცხოვრებას, როდესაც ისინი ტყე-ღრეში ცხოვრობენ. ამის დამაბრკოლებელ მიზეზს შეადგენს დიდი მსგავსება ერთი ჯიშის ფრინველებ-ცხოველებისა მეორესთან. წარმოვიდგინოთ, რომ სხვა და სხვა დროს ვნახეთ ორი ყვავი, ან ორი მელა, ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიტყვი, რომ მეორეთ იგივე ყვავი ან ისევე ის მელია შეგვხვდა, რადგანაც მათ შორის მსგავსება ერთობ დიდია. ხანდის-ხან შესაძლოა შემთხვევით ისეთ ცხოველს შევხვდეთ, რომელიც, თავის ამხანაგებიდან იმდენათ განსხვავდება ღონით, ჭკვით, -- რომ იგი ხდება მათი ბელადი. მასთან ოუ ეს ცხოველი ერჩევა თავის ტანით, ან რაიმე ნიშანით--მაშინ ხომ იგი მთელ არე-მარეზე თითით საჩვენებელი ხდება. მაშინ ძალიან ადვილია ასეთ ბელადებზე დაკვირვება და ამ გვართ შესაძლოა მათი ცხოვრების ვაცნობა, რომელიც გაცილებით ძალიანი და საინტერესოა ვიდრე ზოგიერთა ადამიანების ცხოვრება. მე მოგიყვებით ერთ ყვავის ამბავს, რომელიც დარწმუნებული ვარ, თქვენთვის ძალიან საყურადღებო იქნება.

ნიშა ყვაფი ძალიან ჭკვიანი ბებერი ფრინველი იყო. ეს სახელი იმიტომ დაუძახეს მას, რომ მარჯვენა მხარეს თვალსა და ნისკარტს შუა თეთრი, ვერცხლისავით მოლაპლპავე ნიშანი ჰქონდა.

რასაკვირველია თქვენ იცით, რომ ყვაფები მთელ დედამიწის ზურგზე ჭკვიან ფრინველებათ ითვლებიან. მათ სწამთ ძალა ერთობისა; ისინი ჩვენ ჯარის-კაცებზე ნაკლებათ არ არიან გაწვრთნილნი. თვითეულ მათგანს დაკისრებული აქვს რაიმე მოვალეობა; თავიანთ სიკოცხლეს ბრძოლაში ატარებენ; ჰირსა და ლხინს ერთათ იზიარებენ. რასაკვირველია საკმარისი არ არის, რომ მათი ხელმძღვანელი ბებერი და გამოცდილი ყვაფი იყოს, გარდა ამისა იგი აღჭურვილი უნდა იყოს ჭკუით და გამბედაობით, რომ მას ყოველ წამს შეეძლოს აჯანყების ჩაქრობა. მხოლოდ მისი ჯარი კი შესდგება ბარტყებისა და ჩვეულებრივ ყვაფებიდან.

ჩვენ მიერ დასახელებულა ნიშა ყვაფი ხელმძღვანელობდა ერთ დიდ ყვაფთა გუნდს, რიცხვით ორასამდე. ამ გუნდის მუდმივ ბინას შეადგენდა ფიჭვნარიანი გორაკი. ამ ადგილს მხოლოდ იმ შემთხვევაში იცვლიდენ, თუ ზამთარი მეტად მკაცრი და სუსხიანი გამოდგებოდა. მაშინ ეს გუნდი იყოფებოდა სამ ნაწილათ და სხვა და სხვა დროს და სხვა გზით მიფრინავდენ სამხრეთის თბილ მხარესკენ.


თბილ და წყნარ ამინდებში ყვაფები მალსა მიფრინავდენ. მხოლოდ თუ ქარი ამოვარდებოდა, დაეშვებოდნენ ძირს და ცდილობდენ ყუდრო ღელეებში ეფრინათ. ჩემი ოთახის ფანჯრები სწორეთ ამ ღელეს გადაჭყურებდენ. მე, რა თქმა უნდა, დავინახე ყვაფების მოფრენა და ჩემი ყურადღება ნიშა ყვაფმა მიიქცია. მე ამ მხარეში პირველათ ვცხოვრობდი, მაგრამ აქაურ მოღარაჯემ მითხრა: „აი ეს ყველაზედ ბებერი ყვაფია და ოც წელზე მეტია, რაც ჩვენ მხარეს ამ ღელეზე დაფრინავს“. ჩემთვის ძნელი არ იყო თვალ-ყური მედევნებინა ამ ყვაფისათვის: ის არასოდეს არ უხვავდა ერთხელ არჩეულ გზას, ე. ი. ღელეს, ასე რომ მოკლე ხანში ის შეიქმნა ჩემი კარგი ნაცნობთაგანი. ღელეში ორჯელ ნიშა ყვაფი თავის გუნდით დაფრინავდა გაღმა-გამოღმა საქმელის საშოვნელათ და ამით შესაძლებელი ხდებოდა მისი მოძრაობის შესწავლა და

შემენიშნა მისი ხელმძღვანელობა. ჩემ დაკვირვებიდან ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ თუმცა ყვავები პატარა სულდგმულს შეადგენენ, მაგრამ დაჯილდოვებულნი არიან დიდი ქკუთით. ამ ფრინველთა ჯიშს აქვს თავისი ენა, აქვს თავისებური საზოგადო წყობილება; მრავალ შემთხვევაში მათი ცხოვრება-ჩვეულება დიდათ წააგავს ადამიანებისას და ზოგიერთში უკეთესათა-კი აქვთ მოწყობილი.

ქარიანი დღე იყო. ღელეზე გადადებულ მაღალ ხილზე ვიდექი სწორეთ იმ დროს, როდესაც ნიშა ყვავი თავის გუნდს შინისკენ მიუძღოდა. შორიდანვე მესმოდა მათი მხიარული ჩხავილი, რაც ჩვენ ენაზედ ნიშნავდა: „ყველაფერი მშვიდობიანათ არის“.




ნიშას თანაშემწე იმეორებდა ამ ხმებს და გასძახოდა დანარჩენებს. მეტი ყუდროებისათვის ყვავები ძალიან დაბლა მოფრინავდნენ, ვიდრე არ მოუახლოვდნენ ხილს. აქ კი ცოტა ზევით უნდა აფრენილიყვენ, რადგან ხიდი მაღლა იყო. ნიშა ყვავს ძალიან ეწყინა ჩემი იქ დგომა, არც ის მოეწონა, რომ მე ისე გულმოდგინეთ ვაკვირდებოდი მას. იწყო მძიმეთ ფრენა და დაიძახა: „უფრთხილდით!“ და ამ სიტყვებით უფრო ზევით აფრინდა.



როდესაც დარწმუნდა, რომ მე არავითარი იარაღი არ მექირა, ბელადი სწორეთ თავზე გადამაფრინდა, დაახლოვებით 13-14 ადლის სიმაღლეზე. მის მაგალითს მიჰბაძეს დანარჩენ ყვავებმაც. გადასცდნენ თუ არა ხილს, უფრო ძირს დაეშვენ.

მეორე დღეს ისევ იმ ადგილას ვიდექი. მომიახლოვდნენ თუ არა ყვავები, დაუწყე ჯოხის დამიზნება. ბელადმა მაშინათვე დაიძახა: „საფრთხე“.





და ორმოც და ხუთი ადლით უფრო ზევით აფრინდა, ვიდრე წინეთ. მაგრამ დარწმუნდა თუ არა, რომ ეს თოფი არ იყო, გადასწყვიტა გადაფრენილიყო. აქ კი ყვავმა გამაფრთხილებელი ხმით დაიჩხავლა: „დიდი საფრთხე -- თოფია!“



მის თანაშემწეებმა გადასჩხავლეს ეს ძახილი და თვითელი ყვავი აფრინდა იმდენათ მალლა, რომ ტყვია მათ არ მოხვედროდათ. მასთან ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტათ გაფანტულიყვენ, გაშლილიყვენ. ამ გვარათ შვიდობიანათ გადაფრინდნენ და პატარა მანძილის შემდეგ ისევ შეერთდნენ და განაგრძეს გზა. მაგრამ უკან რომ ბრუნდებოდნენ ბელადმა თვალი მოჰკრა წითელ კუდა ქორს. ის იჯდა სწორეთ გზის პირას ერთ ხეზე. ნიშამ დაიძახა: „ქორი, ქორი!“ და შეჩერდა.



ყველა ყვავები შეჯგუფდნენ ერთათ, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მტრის მოგერიება და უშიშრათ გაუდგენ გზას.

ამ ხნის განმავლობაში მე შევისწავლე მრავალი მისი ბრძანებები და დაერწმუნდი, რომ ხნის უბრალო ცვლილებასაც-კი სხვა და სხვა მნიშვნელობა ქონია.

აპრილის დასაწყისში ამათ გუნდში მღელვარება დაიწყო. ეტყობა იქ რალაც არა-ჩვეულებრივი ამბები ხდებოდა. იმის ნაცვლათ, რომ დილიდან საღამომდისინ თავის გამოკვებაზე ეზრუნათ, ყვავები თითქმის ნახევარ დღეს ფიჭვებზე ატარებდნენ, ან და საკვირვლათ ხერხიანათ დაფრინავდნენ ოროლ-სამსამნი. ყველაზე დიდ სიამოვნებას მათთვის შეადგენდა ფრენაში ვარჯიშობა: მალლიდან ისარივით დაეშვებოდნენ ძირს რომელიმე ყვავისაკენ და ბეწვის ოდენა მანძილზე რომ მიფრინდებოდნენ, უმალ ისეთი სისწრაფით გამოტრიალდებოდნენ უკან, რომ მათი ფრთების მოძრაობა შორიდან გაგონილ ქუხილს მოგაგონებდათ. ეს იყო ბარტყების გამოჩეკის დრო.

(დასასრული იქნება)

თამარა ნაცვლიშვილი.

# მეგობრები

(მოთხრობა იაპონიის გამოჩენილი მწერლის კენძირო ტაკუტომის\*)



სებს, დილისა და საღამოს ნამზე მზისა და მთვარის სხივებს ათასფრად ათამაშებს.

\*) თანამედროვე იაპონიის მწერლებთა შორის პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოთ კენძირო ტაკუტომის. მის თხზულებებს ზღაპრებით კოთხულობენ არა მარტო იაპონელები, არამედ ევროპელებიც. იაპონიის საუკეთესო მომავლისთვის მებრძოლს ტაკუტომის ტყუილთა კი არ აღიარებენ „იაპონიის ტოლსტოი“ თ. ტაკუტომი ტოლსტოისავით მოშორდა სატანტო ქალაქს ტოკიოს, იყიდა მიწის პატარა ნაჭერი სოფელს ჩიკტახეიკურში და ეხლაც თვითონ ეწევა მიწის მუშაობას. ტაკუტომის თხზულებათა შორის პირველი ადგილი „ნალიკა“-ს უჭირავს, რომელიც 278-ჯერ გამოიცა. ეს თხზულება გადმოთარგმნილია ყველა ევროპიულ ენებზე, და აგრეთვე ჩინურ, კორეულ და სიამის ენებზედაც... რუსულ ენაზე შევედურ ენიღან არის გადმოთარგმნილი... ქართველებს-კი ეს ეხლანდელი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუში ჯერაც ვერ გაუმთარგმნებიათ.



ადამიანი ჩვეულია ყოველივე განასხვავოს, მაგრამ ღმერთს კი ყველა ერთნაირათ უყვარს. მის წინაშე ერთია გმირიც, ბავშვიც და გონებით სუსტიც.

## I

ძველი წლის უკანასკნელი ღამე იყო.

თოვდა და საშინლათ ციოდა.

პატარა სახლის ფანჯრებიდან, ტოკიოს განაპირა უბანში, სინათლე გამოჰკრთოდა და მისი შუქი ქუჩაზე თეთრათ გადაპენტილს თოვლს ეთამაშებოდა. სახლის დარბაზში ბავშვები შეკრებილიყვნ და მხიარულათ ებასებოდნენ ერთმანეთს.

-- მე ღენერალი ვიქნები, — ამბობდა ერთი ვაჟთაგანი.

-- მე-კი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, — გაიძახოდა მეორე;

— მე ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე, ყველას ხელმძღვანელი, — ამბობდა ერთ-ერთი პატარა ქალი.

— კარგი, შენ ხომ თავმჯდომარე იქნები, მე-კი ქალთა გიმნაზიის გამგე, დაიძახა მეორე ქალმა.

ამ დროს ოთახში კეთილი სახის მოხუცი შემოვიდა.

ბავშვები, რომლებიც ესე ტკბილათ ოცნებობდნენ თავიანთი ბედნიერი მომავლის შესახებ, გარს შემოეხვიენ და სთხოვეს:

— საყვარელო ბაბუა, გვიამბეთ რამე... აკი დაგვიბრძით.

— რა გვიამბოთ, ბავშვებო, რა?

— გვიამბეთ ომისა, ბრძოლისა და გამარჯვების შესახებ, — სთქვა ერთმა ყმაწვილთაგანმა.

— არ გვინდა ომის შესახებ... ჰყვიროდა მეორე ყმაწვილი, — უკეთესი იქნება რამე დასალონებელი და სამწუხარო ამბავი გვიამბოთ.

— არა, ბაბუა, სამწუხარო არ გვინდა; რამე საცინელი, გასამხიარულებელი, — სთხოვდა ერთი ქალთაგანი.

და ყოველივე მათგანს უნდოდა, რომ ბაბუას მისი სურვილი აესრულებინა.

— გაჩუმდით, ნუ ხმაურობთ, — ამშვიდებდა ბავშვებს უფროსი ქალი, სახელათ ჩო—კო, — დაე ბაბუამ, რაც თვითონ სურს, ის გვიამბოს.

ყველამ ალტაცებით მიიღო ეს წინადადება.

ღიახ, ღიახ, ბაბუა, — გაისმა ერთხმათ, — რაცა გსურთ, ის ვვიაპბეთ.

კარგი, ბავშვებო, კარგი... მხოლოდ დრო მომეცით მოვიფიქრო... ჰო, აი მოვიგონე კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო შემთხვევა...

ბავშვები დაწყნარდნ და მოხუცმა დაიწყო:

— მე, ღიდი ხანი არ არის მას შემდეგ, სინანოს პროვინციაში ვმოგზაურობდი და, სხვათა შორის, სოფელს კავანაკაძიმაში შევიარე.

კავანაკაძიმაში? სადაც ერთმანეთს შეებრძოლენ ჩვენის სახელ განთქმული გმირები სინგენი და კენშინი, და სადაც სინგენმა აჯობა კენშინს?

— არა, არა, — წამოიძახა მეორე ბავშვა, — შენ არ იცი. სინგენი კი არა კენშინი დარჩა გამარჯვებული...

მეც ხომ ვერე ვსთქვი...

— არა, სრულიადაც არა.



და ის იყო კინაღამ ჩხუბიც არ დაიწყეს, რომ ამ ცხარე ლაპარაკში უფროსი და არ ჩარეულიყო.

— თაი ჩან, — სთქვა იმან, — შენ თუ ჩხუბს დაიწყებ, ბაბუა აღარაფერსაც არ ვვიაპბობთ.



უმცროსმა დამ უფროსს მხარი დაუჭირა:

— თქვენ თუ ჩხუბის გუნებაზე ბრძანდებით, შეგიძლიათ ეხლავე კარში გაეთრიოთ.

ქალთა გიმნაზიის მომავალი გამგის ბრძანება არ მოეწონა მომავალს სახელ-განთქმულს პოლიტიკურ მოღვაწეს და აგრეთვე გენერალსაც... მათ ერთ-ხმათ დაიყვირეს:

— ნახე, ნახე! გამოგვიჩნდა რალა გიმნაზიის გამგე!

ლაპარაკი თან და თან მწვედებოდა, და, ბოლოს, როგორც იყო, ბაბუამ დააჩუმა. როცა ოთახში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, ბაბუამ განაგრძო თავის მოთხრობა:

როცა მე კავანაკაძიძეში შევიარე, იქ, მდინარე საინავას ნაპირზე, ნაძვის ხის ქვეშ პატარა საფლავი ვნახე..

— ის საფლავი ნამდვილათ გმირი კანსუკესი იქნებოდა, — ვერ მოითმინა და დაიყვირა მომავალმა გენერალმა.

— მეც ესე მეგონა, — სთქვა ბაბუამ, — მაგრამ როცა მიუახლოვდი, საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერა წავიკითხე: „აქ მარხია ბიჭი ნაკამურა ტამეკიჩი“. იქვე გვერდით მეორე საფლავიც ვნახე... ზედ ფიცარი ჰქონდა წარწერით: „თავდადებული ძალღის „ბუჩის“ საფლავი. მე, სწორე გითხრათ, საშინლათ დამინტერესა ამ ორმა საფლავმა. სოფელში მივედი და ერთი მოხუცისაგან გავიგე ფრიად სამწუხარო ამბავი... და სწორეთ იმას გვიამბობთ... არ ვიცი-კი მოგეწონებათ იგი თქვენ, თუ არა?

— გვიამბეთ, ბაბუა, გვიამბეთ! — ერთ-ხმათ დაიძახეს ბავშვებმა... და ბაბუამ განაგრძო.

## II.

რადგანაც მხარე სინანო მალლობზე მდებარეობს, ამისათვის მას „იაპონიის სახურავს“ უწოდებენ. ამ მხარის დიდი მდინარენი კისო, ტენრიუ და ჩიკუსა სოფელ კავანაკაძის ახლო ერთმანეთს ერთვიან და ერთს დიდს მდინარეს სეიკავას შეადგენენ. ეს მდინარე ერიგოს მხარეზე მიმდინარეობს და უერთდება იაპონიის ზღვას. ის, რის შესახებაც მსურს ვიამბოთ, მოხდა სინანოს მხარეში რკინის გზის გაყვანის შემდეგ.

მდინარე სეიკავაზე გაყვებულ რკინის გზის ხიდის ახლო მდებარეობს სოფელი კამაკუბარა. სოფლის ბოლოში იდ-

გა ძველი, ხელ და ხელ აშენებული ქობი, ჩაღის სახურავით ამ ქობში სცხოვრობდა ქერივი ო—კუნი შვილით, რომელსაც ტამეკიჩი ერქვა. ტამეკიჩი ბუნებით სუსტ გონებიანი იყო. როცა სამი წლისა შეიქნა, ერთი სიტყვის თქმაც არ შეეძლო და, როცა ხუთს წელს გადააცილა, მარტო ღიმილი ისწავლა. თავის სხეულის აგებულებით ყველა ბავშვებს სჯობდა. გარეგანი შეხედულება მისი დიხაც რომ სასიამოვნო იყო, მაგრამ ცხრა წლისაც რომ შესრულდა, არც მაშინ მოემატა ჰკუა გონება.

სხვა სოფლიდან მოსულნი სიამოვნებით უტკეროდნენ მის მშვენიერს აგებულებას, მაგრამ როგორც—კი ტამეკიჩი თავისებურ ლაპარაკს დაიწყებდა, ყველა მიხვდებოდა, რომ მათ წინ სრული ჰკუის პატრონი არა სდგას. ექვსი წლისამ ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ დედის გარდა ვერავის ვერაფერი გააგებინა. ტამეკიჩი ათი წლისა შესრულდა, მაგრამ, ამის და მიუხედავად, სკოლაში სიარულის მაგივრად, დილიდან საღამომდის თავის თავს ეთამაშებოდა.

ყველა „სულელ ტამეს“ ეძახდა... შეხვედრისას უსათუოდ რითმე უნდა ეწყვიებინათ... საცოდავს ბავშს, ვინ დასთვლის, რამდენი მუჯღლუგუნი მიუღია თავის ამხანაგებისაგან? ვინ დასთვლის რამდენჯერ დაბრუნებულა სახლში ცრემლები-საგან დაწითლებული თვალებით?... მაგრამ გასაკვირველი ის იყო, რომ, როგორც კი ტამეკიჩი ოთახში შესდგამდა ფეხს, ისევ ჩვეულებრივ ღიმილით გაუბრწყინდებოდა ხოლმე სახე.

ბევრი სოფელელი ქალი შურით უმზერდა საცოდავ ბავშვის სილამაზეს და ეკითხებოდა:

— ტამე, რამდენი წლისა ხარ? რა გაქვს სამხიარულო? რას ან ვის დასცინი ყოველთვის?

მაგრამ ტამეკიჩი ამაზე მხოლოდ ღიმილით უპასუხებდა ხოლმე.

ქვეყნიერება, სადაც ესე ბევრია მოტირალე, მწუხარე, ავისმხედი, ტამეკიჩის ყურადღებას არ იქცევდა სრულიად... მის სახეზე სულ მუდამ ღიმილი და მხოლოდ ღიმილი ჰკრთოდა და სწორეთ ეს იყო გასაოცარი და გასაკვირველი... ტამეკიჩი უდარდელად სცხოვრობდა... დედა კარგად და გულმოდგინეთ უვლიდა თავის შვილს... ის არ ჰკარგავდა რმედს,



რომ მის პირშო ვაჟს ოდესმე გონება გაეხსნებოდა და დაეფიქროს...  
ვე ადამიანი გახდებოდა, როგორც სხვა... ხან და ხან კი  
საცოდავი ქალი მოთმინებიდან გამოდიოდა და ლანძღვა-გინე-  
ბით დაუყვირებდა ხოლმე შვილს:

— სულელო, ყოველთვის რად იღიმები.

მაგრამ რაც უნდა ეთქვა დედას, ტამეკიჩი ჩვეულე-  
ბრივით იღიმებოდა.

მხოლოდ მაშინ მიხვდებოდა ხოლმე დედა. რომ ტყუილ-  
უბრალოდ უჯავრდებოდა უდანაშაულო შვილს, და თვითონ-  
ვე მისგან პატიებას მოითხოვდა.

მაგრამ ქვეყნათ იყო მეორე არსებაც, რომელსაც, რო-  
გორც დედას, ძლიერ უყვარდა დაჩაგრული ბავში, ეს იყო  
ძალდი „ბუჩი“. ათის წლის წინათ ო — კუნიმ თავის სახლის  
კარებთან იპოვნა სიცივისაგან ამაღმაგებული, გამხდარი და გა-  
ძვალ — ტყავებული ძაღლის ლეკვი. შეეცოდა ცხოველი, შეი-  
ჩვია და მალე. „ბუჩი“ც დაარქვა.

ძალდი გაიზარდა და თავის სიდიდით ხბოს არ ჩამოუვარ-  
დებოდა. ტამეკიჩისათვის ეს ძალდი ერთად ერთი განუშორე-  
ბელი მეგობარი და მცველი გახდა. როცა შეატყობდა „ბუჩი“,  
რომ იხიმეს სურს ტამეკიჩი გააჯავროს, მისწვდებოდა ცულ-  
ლუტს და ჰკბენდა .. ამიტომ ცულლუტი ბავშვები, დაინახე-  
დენ თუ არა ტამეკიჩის „ბუჩი“სთან ერთად, ვეღარ ჰბედა-  
დენ მის გაჯავრებას.

ერთხელ ტამეკიჩი წყალში ჩავარდა და კინაღამ დაიხიო.  
მაშინ რვა წლისა იქნებოდა... იღბლათ „ბუჩი“ც იქ იყო...  
მაშინათვე შესცურდა წყალში, სახელოში კბილი წაავლო და  
ნაპირზე გამოათრია... ამასთან „ბუჩი“ს ერთი კბილი მოსტ-  
ყდა... ამ შემთხვევის შემდეგ ო — კუნის უფრო მეტად შეუ-  
ყვარდა ძალდი და ბავშვსაც უძალდოთ აღარსად უშვებდა.

(შემდეგი იქნება).

ირაკლი ფერაძე.





# ოსმალები.

## ოსმალოს დროს ვატარება.



ირველი და საუკეთესო ვასართობი  
ოსმალოსთვის არის თამბაქოს მოწე-  
ვა. ეს, როგორც ვეროპიელითათვის,  
უბრალო დროს ვატარება კი არ  
არის. ეს მთელი სერიოზული მო-  
ქმედებაა მისთვის. მთელი საათობით  
უზის თავის ნარგილეს\*). ეს სიტყვა  
წარმოსდგება ნარგილისაგან, რაც  
ნიშნავს ქოქოსს. უწინდელ დროში

მას აკეთებდენ ქოქოსის ქერქიდან. ეხლა კი წყლის ჩასას-  
ხმელ ნაწილს ნარგილეს უკეთებენ თიხისაგან, შუშისაგან, გო-  
გრიდან. ნარგილეს საშუალობით არ შეიძლება ყველანაირი  
თამბაქოს მოწევა, არის ერთგვარი თამბაქო, რომელიც მოჰ-  
ყავთ სპარსეთის პროვინციებში და იქიდან აგზავნიან ყველგან.  
ნარგილეს გარდა თამბაქოს ეწევიან ჩიბუხით. ჩიბუხს ძლიერ  
გრძელი ტარი აქვს, ხან-დი-სხან ორი არშინი სიგრძე ჩი-  
ბუხის ტარი მოქედილია ოქრო—ვერცხლით, ძვირფასი თვლე-  
ბით. იარაღი და ჩიბუხი არის ერთათ ერთი ნივთი, რომელ-  
იც დაგვანახებს ოსმალოს სიმდიდრეს. ხან-დი-სხან იარაღის და  
ჩიბუხების მეტი არა გააჩნია რა ოსმალოს. ზოგი ერთ მდი-  
დარ ოსმალოს აქვს რამდენიმე ასი ჩიბუხი, ოქრო—ვერცხლით  
და ძვირფასი თვლებით მოქედილი.

ხელები უნდა არა უმოკლესი ორი არშინისა ჰქონდეს,  
რომ თვითონ აანთოს ასეთი გრძელი ჩიბუხი, ამიტომაც ოს-  
მალოს ესაჭიროება ცალკე მოსამსახურე, რომ ჩიბუხი მოუწყ-

\*) ანუ ყალიონს.



ოს და აუბოლოს. ღარიბი ოსმალო ვერ შეინახავს „ჩიბუხჩის“ და ამიტომაც იგი ეწევა პაპიროსებს, როგორც ჩვენში.

იციან ერთ გვარი მოწევა, რომელიც ძლიერ მავნებელია ადამიანის ჯან-სალობისათვის. ეს გახლავთ თერიაქის მოწევა. თერიაქს ამზადებენ ხაშხაშიდან. ზოგი ერთნი აუარებელ თერიაქს ხმარობენ. პირველ ხანებში თერიაქი თითქოს სიამოვნებას აძლევს მომწევს, მას ავიწყდება ყოველდღიური უსიამოვნობა, დარდი, ის მხიარულათ სთვლის თავს, ვერც ავათმყოფობას გრძნობს, თუნდა მანამდის დატანჯული ყოფილიყო ამ ავათმყოფობით. მისი აღზნებული, ცეცხლებრივ ანთებული თვალები გიმტკიცებს, რომ თერიაქით არის იგი მთვრალი. ხოლო შემდეგში, როდესაც სულ უფრო მეტი და მეტი თერიაქი სჭირდება მას, რადგან სხეული უკვე ისე ეჩვევა რომ თერიაქი ცოტა აღარ აკმაყოფილებს მომწევს, მაშინ იწყება მისი ტანჯვა და სრულიათ იხრწნება მისი სულიერი და ფიზიკური ჯან-მრთელობა.

თერიაქ—ხანე გამართული აქვთ უფრო ხშირათ რომელიმე მიყრუებულ ქუჩაში, ბნელ სარდაფებში. ვიწრო ტახტებზე სხვა და სხვა ნაირათ წვანან თერიაქის მსმელები. თვალები უაზროთ დაჭყეტილი აქვთ, გაყვითლებული, ჩამომხმარი სახე, დაკრუნხული ტუჩები თითქოს ცდილობენ უხმოთ რაღაც წარმოსთქვან. უეჭველათ რამე ელანდებათ ამ უბედურებს! ალბათ მათ ეჩვენებათ დიდებული ცა, მშვენიერი ქვეყანა, სიმდიდრე, სილამაზე, ეხლა ის ვერ დაანებებს თავს თერიაქს, მან იგემა რა არის მშვენიერი ოცნება, მასთან მიხწევა და მისი განხორციელება.

ცოტა ხანს შემდეგ ეს თერიაქის მსმელი ადამიანს აღაო ჰგავს. მას სხეული დაავადმყოფებული, დადამბლებული აქვს, ნერვები სამუდამოთ აშლილი, ის სრულებით უვარგისი ხდება ცხოვრებისათვის. საბედნიეროთ, სხვა აღმოსავლეთის ხალხებთან შედარებით, ოსმალოები უფრო ნაკლებათ არიან გატაცებულნი თერიაქით.

სადალაქო და ყავა—ხანე ეს ის პატარა კლუბებია, დაც კრიფება სხვა და სხვა ხალხი და სადაც გაიგებთ ყოველ გვარ ახალ ამბავს! აქ, შეექცევით ყავას, და თან შეგიძლიათ მოისმინოთ მოამბე, მემუსიკე, ქუჩის მომღერალი. ყველას ძლიერ უყვართ მოამბენი. ისინი მოჰყვებიან ანექლოტებს, ხალხურს ზღაპრებს, ხშირად თავის გამოგონილ ამბებსაც ჩაურთავენ. შინაარსი სხვა და სხვა ნაირია, მაგრამ უმეტესათ მოჰყვებიან გმირებზედ, კარგ მოამბეს ძლიერ აფასებენ.

ყავა—ხანეს პატრონი მათ უფასოთ უმასპინძლდება. ყავა—ხანე კარგი მოამბეთი ძლიერ არის განთქმული და ყოველთვის საესეა. ასეთ მოამბეთა შორის ხშირათ ნამდვილ პოეტს შეხვდებით მშვენიერი ენით, მდიდარი ფანჯახით.

ყავა—ხანეში ორკესტრსაც შეხვდებით, თუ უწოდებთ ამ სახელს რამოდენიმე ტანისამოს დაფლეთილ მემუსიკეს. მათი დაკვრის მოსმენა ადამიანის ტანჯვათ ჩაითვლება. ხან-დ-ისხან დამკვრელი იმავე დროს მომღერალიც არის. მუსიკა რო შეჩერდება ის სიმღერას იწყებს და თავის სიმღერით ატკობს მსმენელებს. სიმღერას რო მოჰყვება ის, რასაკვირველია არ ივიწყებს „გიაურებს“ და კარგათაც ამკობს მათ.

ამ სიმღერაში გამოიხატება ოსმალოს უფიცობა და მისი გადაქარბებული წარმოდგენა ოსმალეთის სიმძლავრეზე. ბაღდადის მახლობელ ადგილებში, იმათ სიმღერებში გამოიხატება სხვა. იქ დახასიათებულია ბრწყინვალე ეპოქა ხალიფებისა და ძველუბურ არაბულ თქმულებას აძლევენ მნიშვნელობას.

სადალაქოში ვერ შეხვდებით ვერც მომღერალს, ვერც დამკვრელს, სამაგიეროთ აქ მოისმენთ ათას ახალ ამბავს, მაგრამ ვერც ყავა—ხანე, ვერც სადალაქო ვერ შეედრება აბანოს. აბანო შეძლებულ ოსმალოსათვის დიდათ სასიამოვნოა. აქ ის ეძლევა იმ განცბრომას, რომელიც ისე საჭიროა მისი ზანტი ბუნებისათვის. მთელი საათობით რჩება ოსმალო აბანოში, სვამს იქ სასმელებს, მიირთმევს ტკბილეულობას, ცოტა ხნობით ისვენებს და მერე ისევ ჩადის წყალში, და ასე ერთი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე იმეორებს თავის სიამოვნებას. ქალებსაც ძლიერ უყვართ აბანო. მათ მოსაწყენ, სიკვდილის მზავს ცხოვრებაში ეს სასიამოვნო გასართობია. და-



რიბ ოსმალოს აბა სად შეუძლია მიეცეს ასეთ სიამოვნებას. ის კმაყოფილდება უბრალო ქვის იატაკიან აბანოთი.

ოსმალოს არ ეშინია სიკვდილისა. იმის წარმოდგენით სიკვდილი ერთი საფეხურია სამუდამო ბედნიერებისა. ამიტომაც ოჯახში არ იციან ტირილი და გოდება, თუ ვინმე მოკვდება. როდესაც ოსმალო მოკვდება, მას გაბანენ თბილი წყლით, და დადებენ მარჯვენა მხარით მექისაკენ. მერე გადაავლებენ სუნელოვან ზეთს, ცხვირს და ყურებს ბამბით დაუცობენ, ხელებს და ფეხებს ქაფურით. დაუზელავენ. ამ დროს კარში უბრალო ხის ყუთს აკეთებენ. ქსოვილში გახვეულ ცხედარს ჩადებენ ამ ყუთში. იმაში წაუკითხავს ლოცვებს ყურანიდან. მერე დასდამენ ამ ყუთს საკაცზედ და წაიღებენ სასაფლაოზე.

მაჰომედის ბრძანებით ცხედარის შენახვა სახლში დიდ ხანს აკრძალულია, უეჭველათ მას მხედველობაში ჰქონდა ცხელი ჰავა და ამიტომაც უანდერძა ეს თავის ხალხს. წინასწარმეტყველმა ბრძანა: თუ გარდაცვალებული ეკუთვნის რჩეულებს, ეცადეთ მალე მივიდეს სამშვიდობოს, თუ წაწყმენდილებს — ეცადეთ მალე მოიშოროთ.

ამიტომაც ოსმალოს მარხავენ იმავე დღეს, როგორც კი გარდაიცვლება, თუ ღამე მოკვდება ვინმე, კუბოს ღამითვე მეჩითში გაასვენებენ.

ასეთ სიჩქარეს აქვს თავის ცუდი მხარეც. შესაძლოა მოხდეს, რომ ღრმათ გულ მიხდილი ადამიანი მკვდრათ ჩასთვალონ.

ალ. ფ — ასი

(შემდეგი იქნება).



# ამბავი ზესკნელისა. \*)

წერილი მეათხე.

მზე და მისი საბრძანებელი.



დამიანმა დაბადებიდანვე თვალი აახილა თუ არა, წამსვე მზე იხილა, — მზის სხივებს შეეთვისა. დღეს ყველა ველურმა ხალხმაც კი იცის, რომ უმზეოთ ერთი წუთი სიცოცხლეც არ შეუძლია. ჯერ ეხლაც ზოგიერთა ველური თემები მზეს აღმერთებენ, თაყვანს სცემენ, ქართველებიც უწინ როდისღაც მზესა და მთვარეს თაყვანს სცემდნენ. ამის კვალს დღესაც ვატყობთ: „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“, ჩემს მზეს ვიფიცავო“ და სხვა...

საცა სამართალია ჩვენც ჩვენი წერილები პირველადვე მზიდან უნდა დაგვეწყო, — მზე არის დიდებული ცენტრი ჩვენის სამყაროსი, უშრეტელი შუა ცეცხლი, სიცოცხლის კერა. მზე არის სამყაროს დედა, დიდებული მნათობი, ხოლო დანარ-

ჩენნი მთელი რიგი მნათობისა მისგან არიან წარმოშობილნი და მზესვე უვლიან, მას მსახურებენ, თავს ევლებიან.

\*) ამ წერილების მეცნიერული მხარე დამყარებულია უმთავრესათ დოქტორის მ. ვილჰელმ მეირის წიგნზე: „Mіrowzdanіe“ „Астрономія въ общепонятномъ изложеніи“. რუსული თარგმანი გამოცემულია პეტროგრადის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორის ს. პ. ფონ. — გლახენაჰის რედაქტორობით.



მაგრამ ამ მართლაც და საღმერთებელ მნათობს, მზეს, ბავშობიდანვე ისე შევეჩვიეთ, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“. თითქოს აღარც კი ვსაქირობობ მზის გაცნობას, მის კვლევას—ძიებას... სწორედ ამიტომაც წინა წერილებში გავაცანით ჯერ ერთი იშვიათი მოვლენანი, რომელნიც თავზარს დაგვცემენ ხოლმე თავის მოულოდნელობით, უცრობით... მზის „ამოსვლა“ და „ჩასვლა“ მისი ცხარე სხივების სითბო—სინათლე ჩვენთვის ნაცნობია აკვნის არტახიდანვე, ამიტომაც აღარავითარ შააბეჭდილებას აღარ ახდენს ჩვენზე. მაგრამ კრუ—რწმენით გონება მოცული ხალხი დღესაც შიშით ძრწის და თავის ბედს, არსებობას უკავშირებს „მცვივანა ვარსკვლავებს“ „ცის ნატეხებს“, „კულიან ვარსკვლავებს“ და სხვა. მხოლოდ ერთი რამ გვაკვირვებს და ბნელ გონებას კი შიშის ზარიც კი იპყრობს, ეს ის მოვლენაა, როდესაც მზე დაბნელდება ხოლმე.

მზის დაბნელებას გაუნათლებელი ხალხი იმით ხსნის, რომ მზე კვლეშაშა დაიჭირაო. მე თითონ დავსწრებივარ ჩემს ბავშობისას, როდესაც გლახ-კაცობა გამოიტანდა ხოლმე თოფებს და „გველეშაპს“ ესროდა: ან მოვკლავთ, ან დავაფრთხობთ და მზეს მოშორდებო.

### მაშ გავიცნოთ მზე.

ეს უზარ—მაზარი მნათობი მთლათ სხაფასნა ცეცხლის ბურთი, სრულის ძლიერებით მარტოთ მარტო მეფობს, ბრძანებლობს ჩვენს უსაზღვრო ცაზე. მაგრამ აბა როგორ შევისწავლოთ მზე? პირდაპირ თვალს ერთს წამსაც ვერ გაუშტერებთ და მხოლოდ ამომავალი და ჩამავალი მზე შეგვიძლია უფრო ვათვალიეროდ. მაგალითად მთვარის და ვარსკვლავების ახლოდ გაცნობა ჩვენ უფრო გვეადვილება, ვიდრე მზისა. ამიტომაც ადამიანს უფრო მთვარესთან აქვს მეგობრობა: მწყემსიც და მიჯნურებიც უფრო მთვარეს უმღერიან. ჩვენი მგოსნები შესხმით გვიხატავენ სურათს. ღამის ჩადრში გახვეულ ბუნებას, მთვარის ნაზის შუქით მოხიბლულს, ტურფა ვარდზე მჯდომი ბულბული უგალობსო და სხვა. ამიტომაც მთვარეს ეძახიან მეტ სახელათ; „ღამის გუშაგი“, „მიჯნურთ იმედი“... ქართველებს მზას ჰა-

ეტი მხოლოდ ეხლა გამოგვიჩნდა (აბაშელი). ვარსკვლავები ზნახლობა დიდი ხანია თავის კუთვნილებათ გახადა: „ჩემი ვარსკვლავი“, „სულ ან კარგ ვარსკვლავზე“ დავიბადეო, ადამიანი მოკვდა — მისი „ვარსკვლავიც ჩაქრაო“ და სხვა.

ღიად, მხოლოდ განათლებულმა კაცმა იცის, რომ გარეშე მზისა ყოველივე ბნელი და მკვდარი არს, მზე არის უშრეტელი წყარო სითბო—სინათლისა, ყოველივე სიცოცხლისა; მზისაგან არის დამოკიდებული ქვეყნათ ყოველივე მოძრაობა. — სხვა მნათობნიც ანათებენ, მაგრამ არც ერთს მათგანს არავითარი ფიზიკური განვლენა არა აქვთ ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენი დედამიწის ბუნებაზე. მხოლოდ შეიძლება მთვარის შესახებ ითქვას, რომ მთვარეს დიდი გავლენა აქვს ზღვა—ოკეანეთა მოქცევაზე და ვეზ ქვეყანაზე, ესე იგი ზღვის მოვარდნაზე და უკან დახევაზე.

ეგ რად გინდათ, მზის გარდა ყველა მნათობი უეცრივ რომ მოისპოს, განადგურდეს, მაინც ნირს ვერ შეუშლის ჩვენს გარემოცულ ბუნების სიცოცხლეს, ჩვენს ცხოვრებას. მაგრამ, ღმერთმა კი ნუ ქნას და, თუ ჩაქრა მზე, — მასთან ერთათ ყოველივე მოისპობა — გათავდება სიცოცხლეც და ცხოვრებაც. როგორათაც ჩვენი სხეული მთლად გაქვინთილია ცხოველ მყოფელი სისხლით, ურომლისოთ სიცოცხლე ყოველათ შეუძლებელია, ამ გვართვე მზე დაკავშირებულია მთელის ბუნების სიცოცხლესთან, დაკავშირებული კი არა, თითონ მზე გვანიჭებს სიცოცხლეს ყოველს სულდგმულს, რაც კი სიცოცხლობს.

მართლაც და, როდესაც ადამიანი მთელს ბუნებას მეცნიერულათ შეისწავლის ხოლმე, მაშინ უნაბილდება გონება, მაშინ ხედავს, რომ უმზეოთ მთელს ბუნებაში (დედა-მიწაზე) არავითარი პროცესი არ შეიძლება მოხდეს — რა.

**მზის სიდიდე.** რო ავიღოთ ჩვენი უშველებელი დედა-მიწა მთლათ ხმელეთით და მისი ზღვა-ოკეანეთი და რა დავდოთ მზეზე, სადმე კუნჭულში, სწორედ იმოდონა ადგილს დაიჭერს რამოდენა ადგილიც უჭირავს ჩვენს საქართველოს მთელს დედა-მიწის ზურგზედ. ესე იგი მზე 12,000 ჯერ მეტია სიდიდით ჩვენს დედა-მიწაზე.



**მზის ტანის სისქე.** წარმოვიდგინოთ, რომ მზე კიდობანია ანუ ბელელი. ჰო და ამ ბელელში ჩვენი დედა-მიწის ოდენა ბურთები ერთი მილიონი რომ ჩავაწყობთ, მაინც ვერ გაიძვება! კიდევ დაგვირდება 250 ათასი დედამიწის ოდენა ბურთი ამ გაუმადლარ ბელელის ამოსაქოლ-ამოსავსებლათ.

**მზის სიშორე.** ჩვენი დედა-მიწა მზისაგან დაშორებულია 150 მილიონ კილომეტრზე\*). ზამთარში უფრო უახლოვდება დედა-მიწა მზეს (დიდათ გვეჩვენება), ზაფხულში კი უფრო დაშორებული ვართ.

**მზის სითბო და სინათლე.** როგორც უკვე ითქვა, ნამდვილი თუ გინდათ, ყოველივე მოძრაობა ბუნებაში, რაც კი ჩვენს გარშემო ხდება და ყოველივე სიცოცხლე რაც კი სწარმოობს სულ მთლათ მიეწერება მზის უნარს, მის ცხოველ მყოფელ სხივებს. მზე არის ყოველთა—მიზეზი სიცოცხლისა და მოძრაობისა. მზეა მიზეზი, რომ დღე ღამით იცვლება, ზაფხული და ზამთარი რიგით მოდის, მთლათ ჩვენი უზარ-მაზარ ატმოსფერას (ჰაერის) მოძრაობა, მის მექანიზმი მზის სხივთა სითბოს უნარით, ძლიერებით ტრიალობს ბრუნვაშია. ატმოსფერას იმავე დროს ააქვს და ჩამოაქვს აუარებელი წყლის ნაკადულები (ორთქლი, ღრუბელი, წვიმა და სხვა) მარად და მარად. გაფუებული ნოტიო მიწაში მზის სითბო აღივებს თესლის ნახ ნაყრს, აღმოაცენებს და ზრდის, მწვანე ფოთლებით და ყვავილებით ჰმოსავს ყოველივე მცენარეს—პაწია წიწმატს და უზარ—მაზარ მუხასაც.

უმეტესათ საყურადღებოა ის პროცესი, რომელიც ჩვენ და საიდუმლოთ ხდება. მცენარენი მწვანე ფოთლებით სუნთქავენ ჰაერს. მზის სინათლის ზედ განვლენით, მოქმედებით მცენარის მწვანე ფოთლები ადღეუვენ შესუნთქულ ჰაერს: ნახშირბადს თავის საზრდოთ იტოვებენ, ხოლო გასუფთავებულ მჟავადას ჰაერსავე უბრუნებენ. მეავადი კი ცხოველთათვის არის საჭირო, მეავადით უდგიათ პირში სული. ამ გვარათ, ამ დიდებულ პროცესზე დამოკიდებულია ურთი—ერთ სიცოცხლე და არსება ცხოველისა და მცენარისა. ესე იგი ჩვენ და ცხოველები როცა ვსუნთქავთ ჰაერიდან მჟავადას ჩვენ ვიღებთ, მითი ვსაზრდობთ, ხოლო ჩვენი სხეულიდან (ფილტვებით)

\*) კილომეტრი ათასი ადლია.



ამოსუნთქული (შხამი) ნახშირ მყავა გაზი ჰაერშივე იფანტება მათსადამე აქ გაცვლა—გამოცვლა სწარმოობს; მცენარეს ის სკირია რაც ჩვენთვის შხამია (ნახშირ მყავა გაზი) და ჩვენ კი ის გვჭირია, რაც მცენარესთვის მეტი ბარგია (მყავდალი).

ეს დიდებული პროცესი გაცვლა—გამოცვლისა, რომ არ სწარმოობდეს, მაშინ ორივე სამეფო ბუნებისა (ცხოველთა და მცენარეთა) განადგურდებოდა, მოისპობოდა. თვით მეფე ბუნებისა ადამიანიც ველარ იცოცხლებდა. დიად, სიცოცხლე სდულს და გადმოდის მთელს ბუნებაში, რომელსაც ამოძრავებს მხოლოდ მზის ენერგია, მისი სითბო—სინათლე. ჩვენ რასაკვირველია ძრიელ ნაკლებ ვაქცევთ ყურადღებას, მაგრამ ეს ქიმიური პროცესი რომ არ არსებობდეს გაცვლა—გამოცვლისა, მაშინ ცხოველები და ადამიანი ამოსუნთქულ შხამით ნახშირ მყავა გაზით ააესებდენ მთლათ ჰაერს და ბოლოს საქმე იქამდე მივიდოდა, რომ თავისივე ამოსუნთქულ შხამში თითონვე სულთქმა შეეხუთებოდათ, დაიხრჩობოდენ.

ვერც ადამიანს და ვერც სხვა რომელიმე ცხოველს ვერ შეუძლია არა ორგანიულ მასალით ისაზრდოს. მაგალითად, პირ და პირ ლიფონი ან სხვა რამ მინერალი და მიწა სქამოს, მოინელის, შეითვისოს, ისაზრდოს. მცენარის ქარხანის ქურაში კი ყველა ეს მინერალები იშლებიან, ზავდებიან და ისეთ მშვენიერ საზრდოთ გარდაიქმნებიან ხოლმე, რომ ცხოველი ადვილათ ინელებს და ნოყიერათაც იკვებება\*).

მაშასადამე მთელი საიდუმლოება ბუნების სიცოცხლისა იმ პატარა უხილავ ქარხანაში სწარმოობს, რომელიც მცენარის მწვანე ფოთლებშია დამალული. მწვანე ფოთლები შეიცავენ მთლათ ბუნების სიცოცხლის ძალას, რომელსაც აწარმოებენ მზის სინათლის ზე განვლენით.

სწავლულთა გამოანგარიშებით მთელი კაცობრიობა ყოველ წლივ ამოსუნთქავს ხოლმე ხუთ ბილიონ კილოგრამ ნახ-

\*) აქედან იმასაც ვცნობილობთ, რომ ქვეყნიერებაზე ჯერ მცენარე გაჩნდა და შემდეგ ცხოველი. მხოლოდ ბალახის ქამია ცხოველების შემდეგ გაჩნდენ ხორცი ქამია ცხოველები. ადამიანს კი საქმლის საღეჭი აპარატი (იარაღი) ისე აქვს ხერხიანათ მოწყობილი (კბილები), რომ მცენარეულობითაც შეუძლია ისაზრდოს და ხორკეულითაც. ჩანს ადამიანი ხორცის ქამია ცხოველებზე აღრე გაჩნდა.




შირ მჟავა გაზს\*) ჰო და წარმოიდგინეთ რა უზარმაზარი სამუშაო აქვს შხის სინათლეს. ეს აუარებელი რაოდენობა გაზისა უნდა გასწმინდოს: მცენარეს ნახშირბადი მისცეს საზრდოთ და მჟავადი კი ცხოველებს დაუბრუნოს, — თუ რომ ასე არ ტრიალებს სიკოცხლის ჩარხი, მაშინ აი რა მოხდებოდა: 600 წელიწადში ჰაერი ერთი ორად გაივსებოდა ამოსუნთქულ ნახშირ მჟავა გაზით, ამისთანა უზამიან ჰაერის სუნთქვით კი სიკოცხლე მოესპობოდა ყოველ ცხოველს და მასასადამე ადამიანსაც.

ერთის სიტყვით ჩვენი სული მცენარების ხელშია, მცენარენი ორ ნაირ დაუუასებელ სამსახურს გვიწვევენ ჩვენც და მთელ ცხოველთა სამეფოსაც — ერთი რო სასუნთქელ ჰაერს გვიწმენდენ, გვასულდგმულებენ და მეორეც თავის სხეულით, სხეულში საცდუმლოთ მომზადებულ საქმელ — სასმლით გვასაზრდოებენ, გვზრდიან, სიკოცხლეს ანვითარებენ. მაშ ბუნებასაც ჰქონია თავისი ქიმიური ლაბარატორია, თავის სამზარეულო და საკუჭნაო!

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება).



\*) კილოვარამში ათასი გრამშია ანუ ორ გირვანქა ნახევარი (ერთ ჩარეკიან ბოთლს უდრის).



## ნიკო ლომოურის ხსოვნას.



ძვირფასო მასწავლებლო! შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ უზომოთ შემაწუხა. თვალეები ცრემლებით მევესება, ბოღმა მახრჩობს და არც თუ კალამი შემორჩილება, მე მხოლოდ დღეს ვიგრძენი ობლობა. დარწმუნებული ვარ ყველა მოწაფე დამეთანხმება, რომ კარგი მასწავლებელი მშობელზედ უკეთესია.

იმ დროს, როდესაც მე გორის ქალთა სასწავლებელში მიმაბარეს, სასტიკათ სდევნიდენ ქართულ ენას. გაკვეთილის შემდეგ, დასვენების დროს, თითო მასწავლებელი ასასივით გვადგა თავს და ვაი იმის ბრალი, თუ ვინმე ჩვენგანი გაბედვდა ქართულათ დალაპარაკებას, იგი მაშინვე ისჯებოდა ყოფა ქცევაში ცუდ ნიშნის დასმით.

საყვარელო მასწავლებლო! აი, ასეთ ძნელ პირობებში გხვდა წილათ სამშობლო ენის სწავლება ჩვენს სასწავლებელში. თუმცა ქართული ენის გაკვეთილი კვირაში მხოლოდ ორი საათით გვქონდა განსაზღვრული, მაგრამ ამ მცირე ხნითაც დიდი სიყვარული და ღრმა პატივისცემა მოიპოვე ყველა შენს ნამოწაფართა გულში. შენს გაკვეთილებს ციურ მანანასავით ველოდით ხოლმე და ვიდრე კლასში შემოხვიდოდით, სიხარულით გაბრწყინებული თვალეები ყველას კარებისკენ გვეჭირა. შემოხვიდოდით თუ არა კლასში სწრაფათ წამოვხტებოდით ფე-



ხზედ და როდესაც რუსულათ მიჩვეულნი გულწრფელ სიყვარულ-  
ლით შემოგძახებდით: „Здравствуйте, Николай Иосифовичъ!“

- დასხედითო, გვეტყოდი, — მთლად ნუ გარუსებულხართო, გახ-  
სომდეთ, რომ ახლა ქართული გაკვეთილი გვაქვსო, ცოტა დრო  
გვაქს და რასაც გიაშობობ ყველაფერი დაიხსომეთ, არ დაი-  
ვიწყათო და ტკბილი, გრძნობიერი ქართული ენით მოგვიყვე-  
ბოდი ბაასს ლიტერატურიდან, ისტორიიდან და სხვა. გულ-  
წრფელათ გწადდა ამ ცოტა ხანში ყველაფერი შეგესწავლები-  
ნა და ჩვენც გატაცებით გისმენდით, რომ ყოველი შენგან  
წარმოთქმული სიტყვა თვალ — მარგალიტისავეთ აგვეკრიფნა. უსა-  
ზღვროთ გვიხაროდა ნამეტნავათ მაშინ, როდესაც შენს საკუ-  
თარ ნაწარმოებს გვასწავლიდი ხოლმე: „ყინვა და პატარა მო-  
წაფე“, „ალი“, „ქაჯანა“, „ბედი უბედურთა“ და სხვას.

სრული ხუთი წელიწადი ვსწავლობდი შენს ხელში და არ  
მახსოვს, რომ მთელ ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც  
გელაღატნოს შენი გაკვეთილისათვის, ისე გულწრფელათ და  
თავდადებით ემსახურებოდი შენს მოვალეობას. არ გიყვარდა  
ზარმაცი შეგირდი, მაგრამ დასაც არ იცოდი, იმდენათ გულ-  
კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყავი. მხოლოდ უსაყვედუ-  
რებდი ხოლმე, ვინც კი გამოერეოდა ჩვენში ზარმაცი: „გრ-  
ხვენოდეს, — რომ დღეს გაკვეთილი არ იციო, აბა, შეხედე იმათ,  
მიუთითებდი რუს მოწაფეებზედ, უცხო ტომისანი არიან, მაგ-  
რამ ისინიც კი კარგათ სწავლობენ, პატივსა სცემენ ჩემს გა-  
კვეთილსაო\*“.

ჩემო ტკბილო, კარგო მასწავლებლო, შენ ისეთი კარ-  
გი და პატიოსანი ადამიანი იყავი, რომ ყველანი (ქართველე-  
ბი, რუსები და სომხებიც) გაღმერთებდით, გულწრფელათ  
გვიყვარდი და ყველა ჩვენგანს დიდ შეურაცყოფათ მიაჩნდა,  
თუ რომელიმეს არ ეკოდინებოდა რაიმე მიზეზით შენი გაკვე-  
თილი. მახსოვს, ასეთ მოყვარულ შეგირდებ შორის გამოჩნდა  
ერთი უკუღმართი, რომელმაც იუკადრისა სამშობლო ენაზე  
სწავლა, ზედმეტ ბარგათ მიიჩნია და უარი განგიცხადა  
მე-V კლასში ყოფნის დროს. მთელი ხუთი წლის განმავლო-  
ბაში, მხოლოდ მაშინ გნახე, ძვირფასო მასწავლებლო, ძრი-

\*) იმ დროს რუსებიც სწავლობდნენ ქართულ ენას.

ელ გაჯავრებული. შენი მშვენიერი გრძნობებით აღსავსე დაშლილი შუბლი მყისვე ქმუნვარებამ მოიცვა, მუდამ დამშვიდებული, კეთილი, სათნოიანი სახე ძალზედ გაგიფითრდა და გამწარებულმა აკანკალებულის ხმით შესძახე: „გრცხვენოდეს, გრცხვენოდესო, გულში რომ გედო, პირადათ როგორღა გაჰბედეთ! სირცხვილი იმ ქართველ დედას, რომელიც უკრძალავს თავის შვილს დედა—ენაზე სწავლასაო! სირცხვილი იმ ქართველ შეგირდს, რომელსაც თავისი სამშობლო და დედა—ენა არ უყვარსო! მე იმ მოწაფეს ჩემათ არ ვთვლი, რომელიც პატივს არ სცემს ჩემს გაკვეთილსაო!

ამ გარემოებამ და შენმა ასეთმა აღელვებამ, საყვარელო მასწავლებლო, ჩვენ დანარჩენ შეგირდებზეც ძლიერათ იმოქმედა და შენთან ერთად მწარეთ დაგვალონა. შერცხვენილი უკუღმართი კი მშვენივრათ გამოსწორდა, რადგანაც მე მას ახლა ქართულსამწერლო ასპარეზედ ვხედავ.

გავათავე სწავლა, განვლო კარგა დრომ მას შემდეგ, მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ უკანასკნელ დრომდე ვერ ველირსე შენს ნახვას, თუმცა გულით მენატრებოდა, მსურდა კვლავ დამტკბარვიყავ შენის ტკბილი ქართული საუბრით. აი, დადგა ჩემთვის სანეტარო დროც, დიდი ხნის ნატვრა—სურვილი ამისრულდა, სურვილი სათაყვანო მასწავლებლის ნახვისა, მაგრამ ვაი რომ ეს ნახვა უკანასკნელი, გამოსათხოვარი გამოდგა. გაზეთებმა მამცნეს: 8 მარტს ტფ. სახაზინო თეატრში დიდი მგოსნის აკაკის ხსოვნის აღსანიშნავათ სამგლოვიარო დილა იმართება და ამ დილაზე ნიკო ლომოურიც მიიღებს მონაწილეობასო. სიხარულით ცას დავეწიე, რომ შემთხვევა მეძლეოდა ნახვისა, კვლავ შემეძლო დამტკბარვიყავ მისი ტკბილი ქართული ბაასით. ჩემდა სამწუხაროთ შორიდან კარგათ ვერ ვხედავდი, მაგრამ მაინც გატაცებით გიცქეროდი თითქოს მიწოდდა სამუდამოთ შთაბეჭედნა გულში შენი ძვირფასი სახე ვისმენდი შენს ნალაპარაკევს ფეხზე მდგომი, ვიდრე გაათავებდი აკაკზე მოგონებას. ისეთი ღრმა შთაბეჭდილება იქონია ჩემზე შენმა ნახვამ, ისეთი აღტაცება გამოიწვია ჩემში შენმა ტკბილმა საუბარმა, რომ მსურდა იმ წამსვე ხელებზე შეამბორა.



ქართული  
ენების  
სამეცნიერო  
ინსტიტუტი

ჩემდა საწუხაროთ ახლოს, პირის... პირ მაინც უფრო  
ღირსე უნს ნახვას, რამაც დიდათ დამწყვიტა გული.

მშვიდობით, ჩემო ტკბილო, კარგო მასწავლებლო!  
მშვიდობით განისვენე მართალია შორის, არ დაგივიწყებთ  
ყველა შენი ნამოწამი, ვიდრე ცოცხალნი ვიქნებით.  
არ დაგივიწყებს არც ქართველი ერი, ვიდრე იარსებებს!..

ნინო ენუქიძე.





საქართველო  
საბჭოთა რესპუბლიკა

Открыта подписка на 1915 годъ  
НА ГАЗЕТУ

# „Закавказская Рѣчь“

(Годъ изданія шестой).

## Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисъ.	Въ провинціи.
На годъ . . . . .	6 руб. — коп.	8 руб. — коп.
„ полгода . . . . .	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца . . . . .	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяць . . . . .	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакция газ. „Закавказская Рѣчь“, Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.

Редакторъ Н. Тумановъ Издатель Э. З. Горделадзе.

თბილისის წიგნის მაღაზიებში და ავტორთან (თბილისი, ბარათისკის ქუჩა, 6) ისყიდება:

## Характеристики и воспоминанія

*Кн. Г. М. Туманова.*

სამი ნაწილი, ფასი თითო ნაწილისა—50 კ.

შინაარსი: გ. წერეთელი.—თ. დავ. ერისთავი.—ვ. ჩერქეზიშვილი.—ა. ხახანაშვილი.—ვ. პეტრიაშვილი.—ა. ყაზბეგი.—თ. რაფ. ერისთავი.—ნ. ბარათაშვილი.—თ. ვახტ. ორბელიანი.—ზ. ანტონოვი.—ლ. არდაზიანი.—ი. ნინოშვილი.—გ. სუნდუკიანცი.—ა. ცაგარელი.—თ. ილ. ჭავჭავაძე.—ქართული თეატრის ისტორიიდან.—რუსის და სომხის მწერლები და სხვა მოღვაწეები ჩვენში, და სხვ.

5/57

# ჯეჯილი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საუმაწვიდო ნახატებიანი ჟურნალი

რუსთა ბაჰაჰსა წალიწალი.

ჟეჯილი დასრულებულია 1890 წელს.

გამოვა 1915 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი  
განყოფილება, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება

4 მან., ქალაქ კარეთ (კავსახით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

ბელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯეჯილის» რედაქციაში,  
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრეხი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго  
журнала „Джеджили“